გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№51 (946) 19 – 20 მაისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

სამართალი

## თურქული დელეგაცია უზენაეს სასამართლოში

თბილისში „მართლმსაჯულების სახლი" საზეიმოდ გაიხსნა

გვ. 7

## ირინა სარიშვილის სკანდალური პროგნოზები



„ნაციონალების რეიტინგი აიწევს... მათ მოსაკლები უკვე მოაკლდათ და დღეს თავს სტაბილურად გრძნობენ!"

გვ. 3

## რატომ და რა პირობით იყიდება სახელმწიფოს კუთვნილი საწარმოები



**რომან გოცირიძე**

„ქვეყანას მხოლოდ 100 საწარმოს კი არა, 10 000 საპირფარეშოს პროექტი სჭირდება!"

გვ. 5

# ნანუაშვილი სახალხო დამცველის პოსტს ტოვებს?




# რომელი ძალოვანი მინისტრი ჩაანაცვლებს ომბუდსმენს

გვ. 2

## რატომ დააჯარიმა შემოსავლების სამსახურმა „ელიტ ელექტრონიქსი"

გვ. 6

როდის ცვლის ანზორ ქოქოლაძე და რა არგუმენტებით უპირისპირდება ყოფილ მმართველს კომპანიის ახალი მენეჯმენტი

## გლდანის ციხეში პატიმრებს ისევ აწამებენ და გაუპატიურებით ემუქრებიან?



პატიმრის დედა ხელისუფლებას მორალური ზიანისთვის კომპენსაციას სთხოვს

გვ. 8

# უჩა ნანუაშვილი სახალხო დამცველის პოსტს ტოვებს?

## „ერთი კაცის“ ფაქტორი ანუ რატომ სძინავს „ქართულ ოცნებას“



გიორგი იაშვილი

**მიუხედავად იმისა, რომ 9-წლიანი მმართველობის პერიოდში ნაციონალური მოძრაობის წევრები თავს ყველაზე ძლევამოსილად მიიჩნევდნენ, ნებისმიერი არჩევნებისთვის ისე ემზადებოდნენ, როგორც გადამწყვეტი ბრძოლისთვის და, ძალით თუ ნებით, არჩევნებს იგებდნენ. ნაციონალებმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც იბრძოლეს და სწორედ ამ ძალისხმევის შედეგია, პარლამენტში საკმაოდ სოლიდურად რომ არიან წარმოდგენილნი. მაშინდელ არჩევნებში „ქართული ოცნება“ თითქოს გამარჯვებას არ ელოდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, გამარჯვებას არც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ეპოტინებოდა. ყველაფერი ერთი ადამიანის, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორზე იყო დამოკიდებული და ამ ფაქტორმა იმუშავა.**

ახლა კი სხვა რეალობა გვაქვს: ივანიშვილი პოლიტიკაში აღარ არის და აღარც ტელევიზიით ჩნდება. შესაბამისად, ამომრჩეველს არჩევანის გაკეთება „ქართულ ოცნებას“ მინუს ივანიშვილი უწევს და თუ აქამდე, ღიად თუ ფარულად, ყველა იმეორებდა, რომ ნაციონალები ხელისუფლებიდან რეალურად ერთმა კაცმა გაისტუმრა, ახლა უკვე ფაქტია, ამ „ერთი კაცის“ ფაქტორი ძალიან სუსტად მუშაობს. მიზეზი მარტივია: ის კაცი არ ჩანს და არც უნდა, რომ გამოჩნდეს.

ეს ყველაზე კარგად ნაციონალური მოძრაობის წევრებმა იციან და მაშინ, როცა ხელისუფლებას ძველი ინერციის იმედი აქვს, საპარლამენტო ოპოზიცია სერიოზულად ემზადება. პიარში მათ ბადალი რომ არ ჰყავს, ყველას კარგად მოეხსენება, უკვე წერტილოვანი დარტყმების განხორციელებაც დაიწყეს, თან იქ, სადაც ხელისუფლება ყველაზე ნაკლებად ელის და, რაც მთავარია, ყველაფერ ამას ერთ-ერთ მთავარ მონაპოვრად თვლის.

პირველ რიგში, ეს უფასო სახელმძღვანელოებია. როცა გასული სასწავლო სეზონის სტარტზე მოსწავლეებმა წიგნები უფასოდ მიიღეს, ბევრმა მშობელმა ამოისუნთქა, მაგრამ ახლა, მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს, ნაციონალურმა მოძრაობამ მშობლებს ის ხელშეკრულება შეახსენა, რომელიც სკოლებთან დადეს — წიგნის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, მშობელი ვალდებულია, ახალი წიგნი შეიძინოს. ყველაფერი ეს კი ნაციონალებმა ისე შეფუთეს, რომ, თუ მშობლებს წიგნების ყიდვა აქამდე სასწავლო წლის დასაწყისში უწევდათ, ახლა სასწავლო წლის ბოლოს მოუწევთ, რათა სკოლას ანგარიში გაუსწორონ.

ამის საპასუხოდ „ქართული ოცნება“ არაფერს აკეთებს, დარწმუნებულია, მადლიერი მშობელი ამაგს დაუფასებს და ნაციონალების ანკესზე არ წამოეგება, მაგრამ რატომ ჰგონიათ, რომ ამ ანკესზე არაერთხელ წამოგებული ამომრჩეველი მორიგ სატყუარას არ ჩაყლაპავს, ვერ გეტყვით.

ისევ წამოიწია პრემიების თემამ და ეს მაშინ, როცა 2012 წელს „ქართული ოცნება“ ხმამაღლა აპელირებდა ნაციონალი ჩინოვნიკების პრემიებითა თუ უცხოურ ვოიაჟებში დახარჯული თანხებით. ნაკლები მადა, თურმე, არც „ოცნების“ წევრებს ჰქონიათ და ეს მადა ისევ ხუთციფრიან პრემიებშია ასახული.

გააქტიურდა მოსმენების თემა და, როცა ამომრჩეველმა იხილა, თურმე, პარლამენტის თავმჯდომარესა და მინისტრებსაც კი უსმენენ, თავი კვლავ დაუცველად იგრძნო. უფრო და უფრო გახშირდა ტექსტი — „ტელეფონით ვერ გეტყვი“, რაც ჩვეული იყო ნაციონალების დროს. ნაციონალებისგან გამწარებულმა ხალხმა მოისმინა დავით უსუფაშვილის შეწუხებული ხმაც: „მთავარია, შენ როგორ ხარ, გიგი, თორემ ჩვენ რა გვიჭირს“ და კოჰაბიტაციის სიამე თუ სიავე სრულად შეიგრძნო. იმ კოჰაბიტაციისა, რომლის დასრულებაც გიორგი მარგველაშვილმა დააანონსა და დღემდე ვერ შეასრულა.

ყველაფერ ამას ისიც დაემატა, რომ რეგიონებში (დედაქალაქშიც) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კოალიციის კვოტით არაერთი „მამალი“ ნაციონალი გაიპარა და ამან ადგილობრივებში უდიდესი უკმაყოფილება გამოიწვია. ყოფილ ნაციონალებს ვინ ჩივის, პირადად მოვისმინე, ქვემო ქართლის რეგიონის ერთ-ერთი რაიონის პოლიციის უფროსი როგორ წუწუნებდა, „წამლის“ გაყიდვაზე სამჯერ მყავს კაცი დაჭერილი, საერთო ჯამში, 18 წელი აქვს მოხდილი და ახლა ოცნების სიაში მოწინავე პოზიციაზეაო.

ყველაფერ ამით წინა ხელისუფლება ცდილობს, დაანახოს ხალხს, რომ ახალი მთავრობა მისგან არაფრით განსხვავდება — მოქმედი ხელისუფლება ნაციონალებივით უსმენს, ატყუებს და დაპირებებით ასულდგმულებს. არც ის გამორიცხოთ, მალე ციხის ახალი კადრები გავრცელდება, სადაც ე.წ. ბლატატა პატიმრები ე.წ. პეხოტას არცთუ კარგად ექცევიან და, თუ წინა ხელისუფლების დროს, ყველაფერ ამის გარეთ გამოსატანად, პრაქტიკულად, სპეცოპერაცია ჩატარდა, ახლა პატიმრებს საკმაოდ აქვთ იმ დონის ტელეფონები, ყველაფერი გადაიღონ და მერე „ვაი-ფაით“ გადმოგზავნონ. როდემდე გააგრძელებს ხელისუფლებს ბეწვის ხიდზე სიარულსა და ცეცხლთან თამაშს, ვერ გეტყვით, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა ძალიან სერიოზულ მზადებაშია და რეგიონებში ძალაუფლების შენარჩუნებას თუ მოახერხებს, „ოცნების“ ოცნება ისევე დაიმსხვრევა, როგორც მითი ქალაქ ლაზიკას შესახებ.

**P.S. რა ამის პასუხია და, „ვერსიის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, შემოდგომით, სახალხო დამცველი სამუშაოდ სხვაგან წავა და მის პოსტს ერთ-ერთი ძალოვანი მინისტრი დაიკავებს... ყველაზე პატარა მინისტრი...**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
MINISTRY OF THE IDPs FROM THE OCCUPIED TERRITORIES, ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

# დევნილთა სამინისტროს საგანგებო განცხადება

2014 წლის 9 მაისს, „ვერსიაში“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს პირველი პირის, დავით დარხველიძის ინტერვიუ გამოქვეყნდა. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუს ძირითად ნაწილში მინისტრი დევნილთა პრობლემებზე საუბრობდა, ქართულმა მედიამ და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ყურადღება მხოლოდ ერთ ფრაზაზე გაამახვილა: „ჰომოსექსუალები ავადმყოფები არიან“, რასაც მინისტრის დიდი კრიტიკა და საპროტესტო განცხადებები მოჰყვა. ამასთან, „ვერსიაში“ გასული ვრცელი ინტერვიუდან ამ თემასთან დაკავშირებული ამონარიდი ბეჭდვური მედიის არაერთმა წარმომადგენელმა არასწორ კონტექსტში გამოიყენა. ინტერვიუს შინაარსს მინისტრი არ უარყოფს. მეტიც, მისი სახელით დევნილთა სამინისტრომ ბოდიში უკვე ოფიციალურად მოიხადა და ტექსტი უწყების ინტერნეტ-გვერდზეა განთავსებული. გვინდა, განვმარტოთ, რომ „ვერსიის“ რედაქცია პასუხს მხოლოდ იმ ინტერვიუზე აგებს, რომელიც 9 მაისს დაიბეჭდა და განთავსებულია გაზეთის ოფიციალურ საიტზე (წწწ.ვერსია.გე), ინტერვიუს აუდიოჩანაწერი კი რედაქციის არქივში ინახება. თემა, როგორც რედაქციის, ისე სამინისტროს მხრიდან, დახურულია და გაზეთ „ვერსიის“ წარმომადგენლები უფლებას ვიტოვებთ, კომენტარი არც ერთ მედიასაშუალებასთან აღარ გავაკეთოთ. აქვე, გთავაზობთ დევნილთა სამინისტროს განცხადებას:

**„ა.წ. 9 მაისს, გაზეთ „ვერსიაში“ გამოქვეყნდა მინისტრ დავით დარახველიძის ინტერვიუ. სტატიაში, ძირითადად, მიმოხილულია სამინისტროს მიერ ბოლო წლებში განხორციელებული პროექტები. ჟურნალისტის მიერ დასმული ერთ-ერთი შეკითხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონსა და ლგბტ პირებს ეხებოდა. ინტერვიუს სწორედ ამ ნაწილმა არასამთავრობო ორგანიზაციების უკმაყოფილება გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით განვმარტავთ: ინტერვიუში მინისტრმა დაადასტურა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც პარლამენტმა მიიღო, მისი პრინციპებისგან შორს არ არის. აქედან გამომდინარე, ცოტა გაუგებარია, როგორ შეიძლებოდა იმავე სტატიაში მინისტრს ლგბტ პირები „ავადმყოფებად“ მოეხსენებინა?! მინისტრის ფრაზა — „ისინი ავადმყოფები არიან“, სამედიცინო ან დამაკნინებელ მნიშვნელობას არ ატარებს. ეს სიტყვები პოპულარიზაციისა და თვითრეკლამისადმი მათი მისწრაფების კონტექსტში იქნა გამოყენებული, რაც ინტერვიუს ამ ნაწილში კარგად იკითხება. აქვე, აღვნიშნავთ, რომ, როგორც მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირი და მოქალაქე, მინისტრი გმობს განსხვავებული გენდერული იდენტობის მქონე პირთა მიმართ ყოველგვარ ძალადობას. სამინისტროს სახელით, დეპარტამენტი ბოდიშს უხდის ყველა იმ ადამიანს, რომელთაც ინტერვიუში გაჟღერებულმა ფრაზამ, ნებსით თუ უნებლიედ, რაიმე სახის ტკივილი მიაყენა“.**



# ილია II: „უფალს უჭირავს საქართველოს ხელი, როგორც ბავშვის ხელი“

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ 17 მაისს „ისტორიული დღე“ უწოდა. როგორც პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, უფალმა დიდი წყალობა გაიღო და მთელი საქართველო დალოცა. მისივე თქმით, „უფალს უჭირავს საქართველოს ხელი, როგორც ბავშვის ხელი“.

**„ჩვენ ძალიან ხშირად ვთხოვთ უფალს „მომეცი“, „მომანიჭე“, მაგრამ ძალიან ხშირად გვავიწყდება მადლობის და დიდების შეწირვა. რომ გადავხედოთ წარსულს, დღევანდელ დღეს და განვჭვრიტოთ მომავალი, დავინახავთ, რომ უფალი მუდამ ჩვენთან იყო, არის და იქნება. უფალს უჭირავს საქართველოს ხელი, როგორც ბავშვის ხელი და გვატარებს ამ უდაბნოებში. ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ არ გვტოვებს. მრავალი განსაცდელი გამოიარა და რა თქმა უნდა, ეს განსაცდელი კიდევაც იქნება. სანამ ადამიანი დედამიწაზეა, განსაცდელი მუდამ არის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი არასოდეს დატოვებს საქართველოს თავისი მფარველობის გარეშე, რადგან საქართველო არის წილხვედრი ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა. ღვთისმშობელი არის შუამავალი ღვთის წინაშე. გუშინდელი დღე არის ისტორიული დღე. გუშინ უფალმა მოიღო დიდი წყალობა და დალოცა მთელი საქართველო და ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც ცხოვრობენ არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთში. ჩვენ ვმადლობთ უფალს ამ დიდი წყალობისთვის. თქვენ უნდა დალოცოთ თქვენი შვილები იმ ლოცვით, რომელიც გუშინ წავიკითხე“,** — მიმართა მრევლს ილია მეორემ.

*„ინტერპრესნიუსი“*

ვერსიანიუსი

# კომპოზიტორთა კავშირის რამდენიმე წევრმა საპროტესტო აქცია გამართა



**„კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ კრების ჩატარების საშუალება არ მოგვცა — შენობის კარი დაგვიკეტა და გარეთ დატოვა“,** — აცხადებს კომპოზიტორთა კავშირის რამდენიმე წევრი. მათივე თქმით, ყოველწლიური საერთო კრება, სადაც ფინანსურ-შემოქმედებითი ანგარიშები განიხილება, 2 წელია არ ჩატარებულა. კომპოზიტორთა კავშირის წევრები საერთო კრების ჩატარებას აპირებენ, რომელზეც თავმჯდომარის გადადგომის საკითხს დააყენებენ. ამასთან, მუსიკალური ფონდის შემოწმებასაც მოითხოვენ.

ბარამ ბარამიძე, კომპოზიტორთა კავშირის წევრი: **„3 თვის განმავლობაში მიდიოდა მოლაპარაკება, რომ ყველაფერი ვიწროწრეში გადაგვეწყვიტა და დოკუმენტები, სადაც უმძიმესი დანაშაულებია ასახული, არ გასაჯაროებულიყო, მაგრამ კავშირის წევრების რამდენიმეკაციანი ჯგუფის წყალობით, პროცესი გაიწელა. მორჩა, ამ საქმის გადადება აღარ შეიძლება... გუშინწინ გამგეობის კრება დაინიშნა, რომელსაც საბჭოს 5 ძირითადი წევრი, მათ შორის, ბატონი ვაჟა აზარაშვილი, მე და გუბა თორაძე არ ვესწრებოდით. თავმჯდომარის მიზანი კავშირის გაუქმება და ბორჯომის სახლის დაუფლებაა, რომელიც სახელმწიფომ წაგვართვა და მეშვიდე წელია, მის დასაბრუნებლად ვიბრძვით. ბიძინა ივანიშვილს 22-მა სახალხო არტისტმა წერილით მიმართა, რომ საკუთრება დაგვიბრუნდეს. არსებობს სოზარ სუბარის დასკვნაც, სადაც ყველაფერი იურიდიულადაა განხილული და წერია, რომ ეს სახლი კომპოზიტორთა კავშირს ეკუთვნის, მაგრამ ჩვენი თავმჯდომარე საკუთარი თავისთვის იღწვის. თავმჯდომარე, რომელსაც კავშირისთვის ზიანი მოაქვს, არავის სჭირდება, იგი სასწრაფოდ უნდა გადადგეს და მმართველობა გამგეობამ ითავოს“.**

*ანი ბეშიტაიშვილი*



# ირინა სარიშვილის სკანდალური პროგნოზები

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**17 მაისი, ავად თუ კარგად, გადავაგორეთ. ანტიდისკიმინაციული კანონის საჭიროებას, გარკვეულწილად, შევეგუეთ და 27 ივნისს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასაც მოვაწერთ ხელს, თუმცა, როგორც პარტია „იმედის“ ლიდერი ირინა სარიშვილი აცხადებს, ევროპის ნაწილად გახდომის საზღაური მხოლოდ ქაღალდზე აღიარებული ტოლერანტობა არ იქნება. რა პლუსებისა და მინუსების მომტანია ჩვენთვის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა და გველის თუ „თბილისური მაიდანი“ თვითმმართველობის არჩევნების წინ? — „ვერსიის“ კითხვებს ირინა სარიშვილი პასუხობს.**

## „ნაციონალების რეიტინგი აიწევს... მათ მოსაკლები უკვე მოაკლდათ და დღეს თავს სტაბილურად გრძნობენ!“

— ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ჩვენთვის კარგისმომტანი არაა. კარგის წამლები კი, თუ საჭიროება მოითხოვს, ნამდვილად იქნება, თუმცა ჩვენგან რა უნდა წაიღონ, გარდა ერთადერთისა, რაც გვაქვს — ტრადიციები. როცა საქართველოში რუსეთი ბატონობდა, ჩვენი ხელისუფალნი მასთან კადრულობდნენ ყველაფერს, მერე აშშ-სთან. ახლა, იგივე შეიძლება, ევროპასთან გააკეთონ. ის, რაც რეალური დასავლური ფასეულობაა და კარგია, ჩვენთან ვერასოდეს დამკვიდრდება, თუნდაც ევროკავშირში ვიყოთ. საუბარია შინაგან წესრიგზე. სხვა ტემპერამენტის ხალხი ვართ, ეს არც კარგია, არც ცუდი, უბრალოდ, ასეთები ვართ.

**— ტემპერამენტს ხელმოწერა არ ცვლის, მაგრამ იცვლება კანონები და ჩვენი რუკა... ჩვენი ევროინტეგრაცია რუსეთისთვის მხოლოდ წითელი ნაჭრის ფრიალია?**

— თუ ეს წითელი ნაჭრის ფრიალია, ჩვენ, ამ შემთხვევაში, ნაჭრის როლში ვართ! ეს სხვების ბრძოლაა რუსეთის წინააღმდეგ, სულ სხვა მოტივით და ჩვენ, როგორც ჩანს, კიდევ ერთხელ უნდა გამოგვიყენონ. თუ რუკაზე რამე შეიცვლება, შეიცვლება საქართველოს საზიანოდ. საუბარია ტერიტორიულ დანაწევრებაზე — არც ნატო, არც ევროკავშირი და სხვა რომელიმე გაერთიანება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს არ განიხილავს. პირიქით, ევროკავშირში ქვეყნის შესვლის საზღაური სწორედ დაკარგული ტერიტორიების დე იურე აღიარება იქნება. თუ ჩვენი ქვეყნის მისიაა, ვიღაცამ რუსეთის წინააღმდეგ გვაფრიალოს და ეს გაგვაბედნიერებს, კი ბატონო!

**— იმის თქმა გინდათ, რომ ევროინტეგრაციას ერთი პლუსიც არ აქვს?**

— ცხოვრების ის წესი, რაც ევროპაშია და პლუსად მიიჩნევა, საქართველოში იმ შინაგანი ტემპერამენტის გამო ვერ დამკვიდრდება, რაც ქართველებს ჩვენგან დამოუკიდებლად გვაქვს და ამას ვერაფერი შეცვლის. როცა კანონი იკანონებს, რა თქმა უნდა, „წითელზე“ არ გადავალთ და ამის მიღწევა შეიძლება, მაგრამ გახდი ევროპელიო, ჩვენთვის იგივეა, ენის შეცვლა მოგვთხოვონ. მაგალითად, საფრანგეთი ვერანაირად იცხოვრებს ლათინური ამერიკის ცხოვრების წესით. აქ საქმე მარტივადაა — ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც ვიღაც გამუდმებით ვიღაცის წინააღმდეგ იყენებს... ამიტომაც ვამბობდი მრავალი წლის განმავლობაში — ჩვენთვის იდეალური გამოსავალი ნეიტრალიტეტი იქნება. საუბარი არა შვეიცარული ტიპის ნეიტრალიტეტზე, არამედ კავკასიის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელ პოზიციაზეა. ამის ბუნებრივ საშუალებას ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა გვაძლევს, მაგრამ როგორი პარადოქსულიც უნდა იყოს, იმდენი ვქენით, ეს ფუნქცია ამიერკავკასიაში აზერბაიჯანმა აიღო. ბევრი ამბობს, რომ ამ ქვეყანას ნავთობი და ფუფუნების ჩვენზე მეტი საშუალება აქვს, მაგრამ ჩვენ გვაქვს გზა ამ ნავთობისთვის და ეს ბევრად მყარი რესურსია, რადგან ნავთობი, თეორიულად, ამოწურვადია. უბრალოდ, აზერბაიჯანს ბევრად მეტი ეროვნულობა აღმოაჩნდა, ვიდრე საქართველოს. ჩვენთან ეს ცნება, უბრალოდ, არ არსებობს და ამის საუკეთესო მაგალითი წლების წინ აფხაზეთში განვითარებული მოვლენებია, როცა მანდარინში ბევრი რამ გაიცვალა.

**— „თბილისურ მაიდანს“ ისევ ელით?**

— ამ შესაძლებლობას ვუშვებ. ნაციონალებს რომ აქვთ სურვილი, ფაქტია და მას „ოცნება“ ხელს რომ არ შეუშლის, ესეც ფაქტია, თუმცა ეს არც ერთზეა დამოკიდებული და არც მეორეზე. საქმე ისაა, რამდენად ექნება რუსეთს ინტერესი, საქართველოში უკრაინის მსგავსი მოვლენები განვითარდეს. დღეს რუსეთისთვის კიევი, გაზის მაგისტრალის გამო, პრაქტიკულად, ევროპაზე გავლენის ტოლფასია. რუსეთს მსოფლიოს ომის დაწყება რომ დასჭირდეს, ამაზეც წავა, ოღონდ კიევი არ დაკარგოს, რადგან კიევის დაკარგვა დასავლეთზე უმნიშვნელოვანესი გავლენის დაკარგავსა და მერე მისი რღვევის დასაწყისსაც ნიშნავს. მსგავსი მნიშვნელობა რუსეთისთვის თბილისს არ აქვს.

**— პოლიტიკოსებისა და მათი მხარდამჭერი მოქალაქეების ის რესურსი, რაც უკრაინას აქვს, თბილისში არის?**

— კლიჩკო და ტიმოშენკო დისკრედიტებულნი კი იყვნენ, მაგრამ არა იმ დონეზე, როგორზეც ნაციონალები. სასაცილო და საშაყირო რაოდენობის მხარდამჭერი ამ პარტიას ნამდვილად არ ჰყავს, მაგრამ ხალხის უდიდესი ნაწილი მის ღია მხარდაჭერას, ნებისმიერ ვითარებაში, მოერიდება. გვყავს რამდენიმე ადამიანი, ვინც დამოუკიდებელი ძალის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ, რეალურად, სხვა მიზანი აქვს. ხალხი ძველი და მოქმედი ხელისუფლებით იმდენად უკმაყოფილოა, თუ ვინმე ამ მუხტს მიმართულებას მისცემს, მოვლენები რაში გადაიზრდება, არავინ იცის. ვითარების კონტროლი, შესაძლოა, სხვა პირებმა ვერ შეძლონ და ამ ტალღას ხელში ნაციონალები ჩაიგდებენ. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ამ პერიოდში მაქსიმალურად უნდა ვერიდოთ ვითარების ესკალაციას. ხალხმა სიბრძნე უნდა გამოიჩინოს და თავი არავის გამოაყენებინოს. ამ დროს რა ხდება „ოცნებაში“? — ის, როგორც ხელისუფლება, დღეს არ არსებობს: იქ არიან რაღაც გაუგებარი წარმონაქმნები, რესპუბლიკელების ფრთა და ალასანია, რომელიც ჩემთვის სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო, პოლიტიკოსთა რეიტინგების ლიდერია. ეს უკვე თეთრი ძაფითაა ნაკერი.

**— ეს რას ნიშნავს, „ოცნებამ“ რეიტინგები გააყალბა?**

— აბა, ვის ახსოვდა ირაკლი ალასანია თავდაცვის სფეროს პრობლემებით?! ალასანია ნატო-ს აგრესიული მხარდამჭერია და რეიტინგში მეორე ადგილზეა. პირველ ადგილზე განსხვავებული აზრის მქონე პოლიტიკოსი კი არა, ეკლესიაა ანუ ალასანია, პოლიტიკურად, პირველ ადგილზეა, რადგან ეკლესია ვერც ერთი პოლიტიკოსის კონკურენტი ვერ იქნება. აი, პირველ ადგილზე რომელიმე პოლიტიკოსი რომ გასულიყო, ვინც მხარს უჭერს ეკლესიის პოზიციას, სხვა საკითხია.

**— შესაძლოა, ეკლესია დღეს პოლიტიკოსების ყველაზე დიდი კონკურენტია...**

— კონკურენტი ვერ იქნება, რაც უნდა დიდი წინააღმდეგობა გაუწიოს სხვადასხვა კონკრეტულ შეხედულებას.

**— რას უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა, ნატო-სა და ევროკავშირში შესვლას?**

— ამაზე არ არის საუბარი. საუბარია, ჰომოსექსუალების აქციაზე და ა.შ. ეკლესიას თავისი კანდიდატი ხომ ვერ ეყოლება, ამიტომ უნდა იყოს პოლიტიკოსი, ვინც ამ პოზიციას გაიზიარებს. ცხადია, ეს პოლიტიკოსი ისეთი კარიკატურული და გაშარჟებული არ უნდა იყოს, როგორებიც დღეს ეკლესიის მხარდამჭერი პოლიტიკოსები არიან.

**— ეკლესიის მხარდაჭერა ექსტრემიზმსა და აგრესიაში რომ გადადის, ეს აქცევს პოლიტიკოსს კარიკატურად, იმის მიუხედავად, რომ აღარც ჰომოსექსუალები მართავენ აქციებს და არც 17 მაისის დარბევა შედგა?**

— ვფიქრობ, ჰომოსექსუალების გააქტიურებაზე ერს ბუნებრივი რეაქცია ჰქონდა და ამ რეაქციას ვერც ანტიდისკრიმინაციული კანონი შეცვლის და ვერც ასოცირების ხელშეკრულება. ამ კანონით, სექსუალურ უმცირესობას პრივილეგიას ისე ვაძლევთ, ავადმყოფის სტატუსს არ ვანიჭებთ. პრივილეგია აქვთ ინვალიდებს, ფიზიკური ნაკლის მქონე პირებს და, თუ მიგვაჩნია, რომ ჰომოსექსუალიზმი ფიზიკური ნაკლია, ასეც დავარქვათ. დამერწმუნეთ, ამას არც ერთი ადამიანი არ გააპროტესტებს, მაგრამ, თუ მათ ავადმყოფებად არ მივიჩნევთ,მაშინ აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ გამოვყოფთ, ვისი ცემა უფრო არ შეიძლება — ქალის, კაცისა თუ ჰომოსექსუალის? ისე, თუ 17 მაისი მსოფლიოში გეების დღეა, ჩვენთან ეროვნული ერთიანობის ერთ-ერთ ყველაზე მკვეთრ დღედ ჩამოყალიბდება.

**— ყველაფერი ეს რა გავლენას იქონიებს მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებზე?**

— ვფიქრობ, არაფერი შეიცვლება, მაგრამ, თუ თეორიულად რამე ცვლილება და გადალაგება შეიძლება დავუშვათ, ისევ ნაციონალების სასარგებლოდ. მათი რეიტინგი აიწევს, რადგან ხმების ნაწილი უპერსპექტივო პარტიებზე გადანაწილდება, ხალხის უმეტესობა კი საერთოდ სახლში დარჩება. ნაციონალებს მოსაკლები უკვე მოაკლდათ და დღეს თავს სტაბილურად გრძნობენ.

**რაც შეეხება უპერსპექტივოებს, ვერ ვხვდები, ნინო ბურჯანაძემ „გაერთიანებული ოპოზიცია“ რატომ დაირქვა. მე რომ ბიძინა დავირქვა, მილიონერი ხომ ვერ გავხდები? — ამიტომ ნინო „ხათუნას“ დაირქმევს თუ „გაერთიანებულ ოპოზიციას“, ფაქტს ვერაფერი შეცვლის.**

**— ბურჯანაძე-ლორთქიფანიძე და ქდმ, ან კუკავა-მემარჯვენეები, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვა, ის შემთხვევაა, როცა პოლიტიკაში მუდმივი მტრები და მეგობრები არ არსებობენ?**

— არა, ეს ის შემთხვევაა, როცა პოლიტიკაში არ არსებობს პრინციპები! ნინო ბურჯანაძე არასოდეს წარადგენდა ისეთ კანდიდატს, რომელსაც მერობის რეალური შანსი აქვს — თუ ეს შანსი არსებობს, მერი ნინო თვითონ იქნება. უბრალოდ, ამას აკეთებს მონაწილეობისთვის და პატარა დაფინანსებისთვისაც. იგივე მოტივი აქვთ სხვებსაც. საერთოდ, ვიდრე ნაციონალები პრობლემად რჩებიან, მეორე ადგილს მაინც აქვს მნიშვნელობა, თუმცა ამ არჩევნებში ნაციონალებს ადგილს ვერავინ წაართმევს.

## ვერსიანიუსი

### ჟურნალისტი გუგა კვიტაშვილი გარდაიცვალა



ცნობილი ჟურნალისტი გუგა კვიტაშვილი 42 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი 90–იანი წლების მეორე ნახევარში იყო „მოამბის“ წამყვანი, რეჟისორი, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესის“ დამფუძნებელი, მოგვიანებით, ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის პრესმდივანი.

ბოლო წლებში იგი საზღვარგარეთ ცხოვრობდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, რამდენიმეთვიანი მძიმე ავადმყოფობის შედეგად, გუგა კვიტაშვილი გარდაიცვალა.

„ვერსია“ ჟურნალისტ გუგა კვიტაშვილის გარდაცვალების გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს სამძიმარს უცხადებს.

### შსს-ს წარმომადგენლები აქციას — „გაიღე სისხლი — გადაარჩინე სიცოცხლე“ შეუერთდნენ



შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლები აქციას „გაიღე სისხლი — გადაარჩინე სიცოცხლე“ შეუერთდნენ.

შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ზაზა ფანცულაიამ და დეპარტამენტის სხვა წარმომადგენლებმა სისხლი საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისა და მოზარდებისთვის გაიღეს.

აქციაში სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმაც მიიღეს მონაწილეობა.

აქციაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაწილეობის მიზანია ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირება.

მომავალში მსგავსი სახის ღონისძიება დეპარტამენტის სხვა რეგიონული დანაყოფებშიც იგეგმება და პერმანენტულ ხასიათს მიიღებს.

*„ვერსიანიუსი“*

# ლევან ვასაძე ანტიდისკრიმინაციულ კანონს ID ბარათით აპროტესტებს

## კიტოვანის ბიჭები, მამა ბასილი და ოჯახის სიწმინდის დღე






რუსუდან შელია
557-100-768

**„სულიერი სიკვდილი ფიზიკურზე საშინელია“, „მამათმავლობა ცოდვაა, გარყვნილება და პათოლოგიაა“, „დაერმორჩილეთ ერისა და ბერის მოთხოვნას“, „მოვითხოვთ ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუქმებას“, „ამ კანონს არც ერთი მორწმუნე არ მიიღებს“, „არ დაუშვას ხელისუფლებამ გარყვნილების ქადაგება“, — მსგავსი შინაარსის ლოზუნგებითა და ტრანსფარანტებით, 17 მაისს, 11:00 საათზე, სასულიერო პირებმა, მრევლთან ერთად, ფილარმონიიდან სამების ტაძრის მიმართულებით მსვლელობა დაიწყეს. მღვდლები გზას აკურთხებდნენ, მონაწილეები კი საგალობლებს ასრულებდნენ. აქციაში მონაწილეობა პოლიტიკოსებმაც მიიღეს. ოჯახის სიმტკიცის დასაცავად, განსაკუთრებით, ნინო ბურჯანაძის კოალიციის წევრები აქტიურობდნენ.**

მიუხედავად იმისა, რომ აქციის ძირითად მიზნად პატრიარქის ინიციატივა და ოჯახის სიმტკიცის აუცილებლობა დასახელდა, მსვლელობისას სასულიერო პირები ანტიდისკრიმინაციულ კანონს გარყვნილებასთან აიგივებდნენ და მასში ორი პუნქტის შეცვლას კატეგორიულად მოითხოვდნენ. როგორც „ვერსიასთან“ საუბრისას, მამა ზოსიმემ განაცხადა, ერი, რომელიც გარყვნილების კანონს აკანონებს, პირუტყვია, საქართველოს კი პირუტყვები არ სჭირდება: **„მთელი მსოფლიო პირუტყვს ემსგავსება, საქართველოს კი ქრისტიანი მთავრობა სჭირდება. ზოგადად, მსოფლიოში გამხეცების პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ ქართველი ხალხი უზნეობას ოჯახის სიწმინდის დაცვით უნდა დაუპირისპირდეს. რაც შეეხება სახელმწიფოსა და ეკლესიის გაყოფის საკითხს, ეს დაუშვებელია! პირიქით, პრემიერი, პრეზიდენტი და პარლამენტის წევრები კურთხევის მისაღებად ეკლესიაში უნდა მოდიოდნენ“.**

მამა ზოსიმეს დაბა კაზრეთის ტაძრის დეკანოზი, მამა არჩილი გამოეხმაურა: **„მთავრობის ჯანსაღი ნაწილის ძალისხმევით, კანონში რამდენიმე შესწორება მართლაც შევიდა, რამაც კანონის მოქმედება ოდნავ შეარბილა, თუმცა საბოლოო ვარიანტი ჩვენთვის მაინც მიუღებელია. მისი მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ უზნეობა ნორმის ხარისხში ავიდა, რაც კატეგორიულად დაუშვებელია. ამიტომ სახალხო მსვლელობით ყველას ვეუბნებით, რომ უზნეობა ჩვენთვის მიუღებელია და ერი ვერასოდეს გაითავისებს, უკუღმართობასა და ცოდვას კეთილი სახელი დაერქვას“.**

სასულიერო პირების აზრს მსვლელობაში მონაწილე მრევლიც იზიარებდა. თბილისში ქუთაისიდან სპეციალურად აქციაში მონაწილეობისთვის ჩამოსული ხათუნა ჯაბინაძის თქმით, ქალი ოჯახის ბურჯად მიიჩნევა, შესაბამისად, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება მისთვის ავტომატურად გარყვნილებასთან ასოცირდება: **„ჩვენი წინაპრები ოჯახის სიძლიერისა და ბედნიერებისთვის იბრძოდნენ. ამ პროცესში კი, ოჯახში ქალის კულტმა წამოიწია. ზოგადად, ქალი ოჯახის ბურჯად მიმაჩნია, ამიტომ შექმნილი ვითარება არ მომწონს. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება ერთსქესიანთა ქორწინების დასაკანონებლად შესამზადებელი ეტაპია, მაგრამ იმედი მაქვს, საქართველოს თითოეული მოქალაქე უწმინდესის კურთხევას შეისმენს“.**

ქალბატონ ხათუნას კვერი მსვლელობის კიდევ ერთმა მონაწილემ, გიორგი ნასყიდაშვილმა დაუკრა, რომელმაც პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება საკუთარი შვილების გარყვნას დაუკავშირა: **„ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით მთავრობამ გვითხრა, რომ ახალგაზრდა თაობა გარყვნილებისთვის უნდა მოვამზადოთ. დიახ, მეშინია, ჩემი შვილები გარყვნილ გარემოში არ გაიზარდონ. თუ ისინი ჩათვლიან, რომ ჰომოსექსუალი ადამიანი ნორმალურია, მაშინ არანორმალურ შემთხვევად რა უნდა შეაფასონ? ხელისუფლება კარგად დაფიქრდეს, სანამ საკუთარ მომავალს ხაზს ბოლომდე გადაუსვამს. ჩვენი შვილების გარყვნის საშუალებას არასოდეს მივცემთ“...**

მიუხედავად იმისა, რომ მსვლელობა საკმაოდ მშვიდად მიმდინარეობდა და საგანგებოდ აქციისთვის გადაკეტილი რუსთაველის გამზირიც მონაწილეებმა მშვიდად ჩაიარეს, კოლმეურნეობის მოედანზე მცირე ინციდენტი მაინც დაფიქსირდა. ახალგაზრდების ჯგუფთან, რომელიც ანტიდისკრიმინაციულ კანონსა და LGBT საზოგადოების პროპაგანდას აპროტესტებდა, ერთ-ერთი სასულიერო პირი მივიდა და პლაკატი — „ნუ გეი-ნაზებით და არ გეი-ლახებით“ — გამოართვა.

დაახლოებით, პირველი საათისთვის მსვლელობის მონაწილეები სამების ტაძარს მიუახლოვდნენ, სადაც პატრიარქი მცირე ხნით იმყოფებოდა და საგანგებო პარაკლისი აღავლინა. პატრიარქმა 17 მაისის მნიშვნელობაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა, რომ ამ დღეს შვილები მშობლებს განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ, გარდაცვლილ მშობლებს კი იგონებენ. მოგვიანებით, ილია მეორემ სამების ტაძარში შეკრებილ მრევლს მშობლების ლოცვა წაუკითხა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მშობლების დალოცვა ღმერთისგან ლოცვას უტოლდება: **„ზოგ შვილს მშობელი ავიწყდება და მას ყურადღებას არ აქცევს, ხოლო ის შვილები, რომლებიც მშობლებს არ ივიწყებენ და მუდამ ახსოვთ, დალოცვილნი და ბედნიერები იქნებიან“.**

ვიდრე პატრიარქი მშობლების პატივისცემაზე ქადაგებდა, პირველი საათისთვის, პარლამენტის წინ, „გვარის წინამძღოლთა დარბაზის“ ორგანიზებით, საპროტესტო აქციისთვის მზადება დაიწყო. ლოზუნგები აქაც მრავლად იყო: „ერი და ბერი აღსდგა სატანიზმის წინააღმდეგ“, „სოდომის და გომორის მიწა დღესაც ცეცხლშია“, „მამაკაცს არასოდეს ერქმევა ცოლი“..

იქვე, საგანგებოდ გაშლილ კარავში კი, ანტიდისკრიმინაციული კანონის საწინააღმდეგოდ სპერციალურ პეტიციაზე ხელმოწერები გროვდებოდა: **„სრულიად საქართველოს გვარიშვილნი, ვითვალისწინებთ რა, ქართული ოჯახის ტრადიციებსა და სიწმინდეს, ხელმოწერებით ვადასტურებთ საყოველთაო სახალხო მოთხოვნას, ანტიდისკრიმინაციული კანონიდან საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელი სიტყვების, „სექსუალური ორიენტაციისა“ და „გენდერული იდენტობის“ დაუყოვნებლივ ამოღებას და მოვითხოვთ გაუკუღმართებული ორიენტაციის ქმედებების პროპაგანდირების უფლებების კანონით აკრძალვას“.**

პეტიციას ხელი აქციაზე მოულოდნელად გამოჩენილმა ლევან ვასაძემაც მოაწერა, რომელმაც სპეციალურ გრაფაში პირადი ნომრის ჩასაწერად უბიდან — არც მეტი, არც ნაკლები — ID ბარათი ამოიღო, თუმცა ამ თემაზე მედიის წარმომადგენლებთან საუბარი არ ისურვა და პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია სწრაფად დატოვა. აქციას შავი ჯიპიდან თვალს თავდაცვის ყოფილი მინისტრი თენგიზ კიტოვანიც ადევნებდა. მისი განცხადებით, საპროტესტო აქციის მონაწილეთა უმრავლესობა „მისი ბიჭებია“, ეს პროცესი კი, მხოლოდ დასაწყისია: **„რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციები მხოლოდ დასაწყისია. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, რომელიც ჩვენი ერისთვის დამღუპველია, პარლამენტს არ შერჩება. ის აუცილებლად დაიშლება“.**

ამ მუქარის შემდეგ, თენგიზ კიტოვანიც ლევან ვასაძის გზას გაუდგა და LGBT საზოგადოების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციას ბასილ მკალავიშვილი შეუერთდა.

ინციდენტის გარეშე არც პარლამენტის წინ გამართულ საპროტესტო აქციას ჩაუვლია: დაახლოებით, 15:00 საათზე, თავად აქციის მონაწილეები ერთმანეთს დაერივნენ. კერძოდ, ერთ-ერთ მონაწილეს ყვავილებიანი მაისური ეცვა, რის გამოც იქვე მდგომმა მამაკაცმა ჩათვალა, რომ LGBT-ების წარმომადგენელი იყო. მათ შორის დაწყებული სიტყვიერი შელაპარაკება მალე ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, თუმცა ვითარების განმუხტვა პოლიციის თანამშრომლებმა მოახერხეს და ერთ-ერთი მონაწილე დავით ფეიქრიშვილი დააკავეს, მეორემ კი, პარლამენტის ტერიტორია საკუთარი სურვილით დატოვა.

აღსანიშნავია, რომ პლაკატების გარდა, პარლამენტის წინ, ამობეჭდილ ტექსტს — „განადგურების ტექნოლოგიას“ ავრცელებდნენ, სადაც ნათქვამია, რომ უახლოეს მომავალში, ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ინცესტი და პედოფილია დაკანონდება.

აქცია რამდენიმე საათში, დაახლოებით, 17:00 საათისთვის დაიშალა, თუმცა ორგანიზატორების განცხადებით, ანტიდისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგ ხელმოწერების შეგროვება ხუთი დღის განმავლობაში პარლამენტის წინ ან მეტროსადგურებთან გაგრძელდება.

### ვერსიანიუსი

## სურსათის ეროვნული სააგენტო მოსახლეობას მიმართავს

სურსათის ეროვნული სააგენტო საგაზაფხულო პროფილაქტიკური ვაქცინაციის კამპანიას განაგრძობს. დღეის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით თურქულის პროფილაქტიკური ვაქცინაციის კამპანიის ფარგლებში, ვაქცინირებულია მილიონზე მეტი (1 004 183) სული დაავადების ამთვისებელი პირუტყვი, მათ შორის 415 059 წვრილფეხა და 589 124 მსხვილფეხა პირუტყვი.

ჯილეხის პროფილაქტიკური ვაქცინაციის კამპანიის ფარგლებში, ვაქცინირებულია 271 487 სული დაავადების ამთვისებელი ცხოველი.

უახლოეს დღეებში დაიწყება ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია, რომლის ფარგლებში ვაქცინირებული იქნება დაავადების ამთვისებელი (ძაღლი, კატა) 220 000 ცხოველი.

სამინისტროს ინფორმაციით, პარალელურად, მაღალი რისკის ზონებში მიმდინარეობს ბრუცელოზზე კვლევა, ხოლო დაახლოებით 2 თვეში დაიწყება ბრუცელოზის დაავადებაზე ფონის შესწავლა მთელი ქვეყნის მასშტაბით, რის შემდეგაც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოზარდი მსხვილფეხა პირუტყვის ვაქცინაცია.

ივლისიდან აშშ-საქართველოს ერთობლივი ბიოლოგიური საფრთხის შემცირების პროგრამის (DTRA) ფარგლებში დაიწყება წვრილფეხა ცხოველზე სეროლოგიური და ტკიპების ვირუსმატარებლობაზე კვლევები. აღებული იქნება 1000-ზე მეტი სინჯი.

**„ამავე დროს, სურსათის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს მოსახლეობას, დროულად ჩაუტარონ ცხოველებს ინვაზიურ და ინფექციურ დაავადებებზე ის ღონისძიებები, რომელიც სახელმწიფო პროგრამაში არ შედის (ცხოველის დამუშავება გარეგან და შინაგან პარაზიტებზე, ვაქცინაცია ინფექციებზე, ცხოველთა სადგომების დეზინფექცია, დერატიზაცია და ა.შ.). მაგალითად წვრილფეხა საქონლის: კლასიკურ ჭირზე, წითელ ქარზე, პასტერელოზზე და ა.შ. რაც დაიცავს ცხოველებს დაავადებებისგან“,** — აღნიშნულია სურსათის ეროვნული სააგენტოს განცხადებაში.

მოსახლეობას უფასო კონსულტაციის მიღება შეუძლია სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხელ ხაზზე – 2919167.

*„ინტერპრესნიუსი“*

# რატომ და რა პირობით ყიდის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სახელმწიფოს კუთვნილ საწარმოებს



## რომან გოცირიძე: „ქვეყანას მხოლოდ 100 საწარმოს კი არა, 10 000 საპირფარეშოს პროექტი სჭირდება!“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის პროექტის მართვის სააგენტომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების პრივატიზება გადაწყვიტა. ამჟამად, სააგენტოს შვილობილი კომპანიების მფლობელობაშია უახლესი სასოფლო -სამეურნეო ტექნიკა, თანამედროვე ტიპის საჩითილე და სასათბურე მეურნეობები, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი, სწრაფგამყინი საწარმო, მარცვლეულის შესანახი ცენტრები, ყურძნის გადამუშავებისა და ღვინის ჩამოსასხმელი, თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი ქარხნები და ასევე წვეთოვანი ირიგაციით გამართული, ბოსტნეულისა და მარცვლეული კულტურების წარმოებისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთები. სააგენტო ამ საწარმოების საკუთრებაში არსებულ აქტივებს, ელექტრონული აუქციონის ფორმით, ყოველგვარი ფინანსური ვალდებულების გარეშე, გაასხვისებს. აუქციონი 24 აპრილს გამოცხადდა და შესაბამისად, წინასწარი, ერთთვიანი ვადა ჯერ არ დასრულებულა. ამჟამად, ელექტრონულ აუქციონზე 6 საწარმო იყიდება, უახლოეს თვეში კი სააგენტო დამატებით ორი საწარმოს გაყიდვასაც აპირებს. ეკონომიკური განვითარების ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი რომან გოცირიძე „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ბიზნესსექტორში სახელმწიფოს ჩარევა ყოველთვის წარუმატებლად მთავრდება, რადგან სახელმწიფოს საკუთრება არავისია, სახელმწიფო მენეჯერები კი დროებით დაქირავებული პირები არიან, რომლებსაც ამ ქონებაზე ზრუნვა ან გარკვეული ფინანსური შედეგის მიღება სულაც არ ადარდებთ.**

**— ბატონო რომან, საწარმოები სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით რატომ და რა მიზნით შეიქმნა?**

— ეს უმთავრესი კითხვაა და უცნაური ისაა, რომ ეს საწარმოები 2010 წელს, წინა ხელისუფლების პირობებში შეიქმნა. მაშინ დაიწყო ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობაში ინტენსიურად ჩარევა და სახელმწიფო-კომერციული სტრუქტურები შექმნა. საერთოდ, სახელმწიფო საწარმო მხოლოდ არაეფექტური კი არა, როგორც წესი, წამგებიანიცაა, რადგან სუბსიდირება ბიუჯეტის ხარჯზე ხდება და ასეთ უმოტივაციო საწარმოში დიდი ოდენობით სახელმწიფო რესურსი იფლანგება. მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სახელმწიფო საწარმოს მუდამ სდევს, კორუფციაა, ვინაიდან სხვისი ფულის მოპარვა ძალიან ადვილია. თუ ხელისუფლება ანტიკორუფციულ ღონისძიებას ხანდახან ატარებს, ეს იმაზეა დამოკიდებულია, როგორია კონკრეტული ხელისუფლების პოლიტიკური ნება, ზოგჯერ ეს ნება პოლიტიკური ბრძოლის კონტექსტზეა დამოკიდებული... ხშირად ანტიკორუფციული ღონისძიებები პოლიტიკური გარჩევებითაა განპირობებული. სოციალისტური სისტემის კრახმაც აჩვენა, რომ სახელმწიფო ბიზნესსექტორში არ უნდა ჩაერიოს! სახელმწიფომ, საკუთარი წილობრივი მონაწილეობით, სასათბურე მეურნეობები, მოსავლის შემნახველი ცენტრები, სამაცივრე მეურნეობები შექმნა. რაგინდ უცნაურიც უნდა იყოს, მთავრობამ ორი ღვინის ქარხანაც დააფუძნა — სააქციო საზოგადოება „აკურა“ და „გრუზვინპრომი“. ამ ქარხნებს ხელისუფლებამ ყურძნის სუბსიდიისთვის 25 000 000 ლარი გამოუყო, რათა რთველი წარმატებით ჩაეტარებინა, საწარმოებმა კი მოსახლეობისგან ყურძნის შესყიდვა დაიწყეს. ეს საწარმოები, პრაქტიკულად, ბიზნესისა და წარმოების განსავითარებლად კი არა, სოციალური პროგრამების განსახორციელებლად შეიქმნა, რათა გლეხებს დახმარებოდნენ. მოკლედ, ასეთი, დაახლოებით, 70-მდე საწარმო შეიქმნა, მაგრამ მათგან მხოლოდ 15 მუშაობს, 15-ვე წამგებიანია და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მათ გაყიდვას აპირებს. ყველაზე მეტი, ასეულობით მილიონი ლარის რესურსი ხელისუფლებამ შპს „მექანიზატორის“ შესაქმნელად დახარჯა, რათა ამ შპს-ს ტრაქტორები შეეძინა. ახლა საქართველოში 1 000-ზე მეტი ტრაქტორი, მონობლოკი და მისაბმელი საშუალებაა, რაზეც ჯამში, 300 000 000 ლარი დაიხარჯა, ეს ტრაქტორები საქართველოს 12 რეგიონშია, ანუ, რეალურად, 12 აგროფირმაა შექმნილი. თუ ეს ტექნიკა კერძო სექტორის ხელში არ გადავიდა, რამდენიმე წლის შემდეგ, აღარ ივარგებს და ზუსტად იგივე სურათს მივიღებთ, როგორიც საბჭოთა კოლმეურნეობებში იყო — ტრაქტორის პარკებში დაშლილი ტექნიკა რომ იყო განლაგებული. სახელმწიფო ქონებაზე დაფუძნებული ბიზნესსტრუქტურების ბედი სწორედ ასეთია. როგორც ჩანს, მთავრობა შპს „მექანიზატორის“ პრივატიზებასაც გეგმავს, რაც მისასალმებელია. ძალიან კარგია, მთავრობამ სახელმწიფო საწარმოების ლიკვიდაცია რომ გადაწყვიტა, მაგრამ მეორე მხრივ, წინა ხელისუფლების მანკიერ სისტემასაც აგრძელებს — განვითარების სახელმწიფო ბანკის შექმნის იდეას ვგულისხმობ, რაც კატეგორიულად არ მომწონს. არ მინდა, ხელისუფლებამ კისერი კიდევ ერთხელ წაიტეხოს!

**— რატომ ფიქრობთ, რომ განვითარების სახელმწიფო ბანკი არ უნდა არსებობდეს?**

— იმიტომ, რომ ზუსტად ისეთივე პროექტებს დააფინანსებს, როგორითაც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით, სხვადასხვა საწარმო შეიქმნა. ამ ბანკის მთავარი მოწოდებაა, ის პროექტები დააფინანსოს, რასაც კერძო ბიზნესი არ აფინანსებს. სახელმწიფოს აზრით, განვითარების ბანკმა ფული მომგებიან ბიზნესში უნდა ჩადოს, მაგრამ ვნახეთ, სახელმწიფო მომგებიანად რას მიიჩნევს. სახელმწიფოს ეგონა, ეს მეურნეობები მომგებიანი იქნებოდა, მაგრამ ყველა წამგებიანი აღმოჩნდა. სახელმწიფომ არ იცის, რა იქნება მომგებიანი, რადგან ეს მხოლოდ ბაზარმა იცის! სახელმწიფოს უკვირს, რატომ არ აქვთ კომერციულ ბანკებს იმხელა შეგნება, რომ სწორედ ის დარგები დააფინანსონ, რაც სახელმწიფოს აზრით, მომგებიანია. არადა, კომერციულმა ბანკებმა ყველაზე უკეთ იციან, სად შეიძლება ფულის ჩადება და სადაა ფულის დაკარგვის რისკი. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, სამი-ოთხი წლის შემდეგ სწორედ სახელმწიფო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების შედეგად შექმნილი საწარმოები გაიყიდება! როდესაც პრივატიზების პროცესი დასრულდება, დარწმუნდებით, რომ იმ საწარმოებს, რომლებშიც ასეულობით მილიონი ლარი დაიხარჯა, სახელმწიფო ათეულ მილიონადაც ვეღარ გაყიდის. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო თანხა, პრაქტიკულად, განიავდება. ამის შემდეგ დაიწყება გამოძიება, აუცილებლად ისაუბრებენ კორუფციაზე, რადგან როგორი კარგი მენეჯმენტიც უნდა მართავდეს სახელმწიფო საწარმოებს, სკანდალები და შურისძიება ყოველთვის სდევს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილება — გაყიდოს სახელმწიფოს კუთვნილი საწარმოები — იმის ნათელი მაგალითია, მთავრობამ როგორი პროექტები არ უნდა წამოიწყოს!

**— რა გარანტიაა, რომ კერძო მეწარმის ხელში გადასული საწარმო, პრივატიზების შემდეგ, მუშაობას იგივე პროფილით განაგრძობს?**

— დღეს ყველა ეს საწარმო წამგებიანია, გაყიდვის შემდეგ კი გარკვეული შანსი გაჩნდება. რომ არ გაიყიდოს, ნელ-ნელა ყველა საწარმო დაინგრევა და მოიშლება. სასურველია, გარკვეული პირობით გაიყიდოს, მაგალითად, რამდენიმე წლის განმავლობაში, ამ საწარმოების პროფილი უნდა შენარჩუნდეს. გარანტია, რა თქმა უნდა, არ არსებობს, რომ თუნდაც ტრაქტორების გაყიდვის შემდეგ, ისეთი ჯანსაღი სტრუქტურა შეიქმნება, რომელიც იმ საქმეს ჩაანაცვლებს, რასაც დღეს სახელმწიფო საწარმო შპს „მექანიზატორი“ აკეთებს. სახელმწიფო ხვნა-თესვის პროგრამაში უდიდეს თანხას ხარჯავს, რადგან საწარმო სახელმწიფო სუბსიდიით შეიქმნა, ტრაქტორისტების ხელფასსაც ბიუჯეტი ფარავს და ნებისმიერი დაზიანებული დეტალის შესაკეთებელ ხარჯსაც. შპს „მექანიზატორი“ კერძო საკუთრებაში რომ ყოფილიყო, სავსებით რეალური იქნებოდა, ეს პროექტი ნახევარ ფასად განხორციელებულიყო. სახელმწიფოს კუთვნილი საწარმოს შექმნა თავიდანვე მახინჯი ფორმაა, მახინჯის გალამაზების გარანტიას კი ვერავინ მოგცემთ, თუმცა, ამ საწარმოების კერძო საკუთრებაში გადაცემა მახინჯის უკეთესობისკენ შესაცვლელად გადადგმული ნაბიჯი იქნება.

**— ნაციონალური მოძრაობა ბიზნესში სოციალური მოტივით ერეოდა, „ქართული ოცნება“ ცდილობს, ბიზნესში არ ჩაერიოს, მაგრამ „საქართველოს ფოსტისა“ და ფოთის პორტის მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, კერძო სექტორში საკმაოდ უხეშად ერევა...**

— აბსოლუტურად სწორია, რადგან ერთი მხრივ, ეს ხელისუფლება სახელმწიფო საწარმოებს ყიდის, მეორე მხრივ, სახელმწიფო რეგულირების ხელში აღებას ცდილობს. „საქართველოს ფოსტის“, განვითარების სახელმწიფო ბანკისა და უამრავი სხვა ფონდის შექმნა ამის ნათელი მაგალითებია. მართალია, მთავრობა სახელმწიფო ბიზნესს აუქმებს, მაგრამ იმავდროულად, პრობლემების სახელმწიფო ფულით გადაწყვეტას აპირებს. სოციალური მიზნით ბიზნესში ფულის დახარჯვას, სჯობს, ხელისუფლებამ ბიზნესი საერთოდ არ წამოიწყოს და ეს ფული ხალხს დაურიგოს, რადგან საქმის იმიტაციას ფულის დარიგება სჯობს! პოლიტიკურად, პროცესს სოციალისტურ პოპულიზმს ვუწოდებდი, რადგან ამ ტიპის სახელმწიფო პროექტები წინასაარჩევნო დაპირებების შედეგია. სხვათა შორის, ამომრჩევლებსაც მოვუწოდებ, საარჩევნო ტყუილის ამოცნობა ისწავლონ და სხვადასხვა პროგრამაში გაწერილ ზღაპრებს არ დაუჯერონ!

**— გასაგებია, რომ სახელმწიფო ბიზნესში არ უნდა ჩაერიოს და ბიზნესმა საბაზრო პრინციპებით უნდა იმუშაოს, მაგრამ სახელმწიფომ ბიზნესს ხელი როგორ შეუწყოს?**

— სახელმწიფომ ბიზნესი ლიმონივით არ უნდა გამოწუროს — მთლიანი შიდა პროდუქტის 25%-ზე მეტი ბიუჯეტში არ უნდა შედიოდეს, სახელმწიფოს ზედმეტი ფული არ უნდა ჰქონდეს. თუ ბიზნესის ხელშეწყობაზე ვსაუბრობთ, ინფრასტრუქტურული პროექტები უნდა დააფინანსოს, რათა ქვეყანაში კარგი სარკინიგზო და საავტომობილო გზები, გვირაბები და კომუნიკაციის საშუალებები იყოს. სახელმწიფომ ბიზნესის წარმოების ადვილი სივრცე უნდა შექმნას. ამბობენ, რომ ქვეყანას 100 საწარმოს, ან თუნდაც 1 000 საავადმყოფოს პროექტი სჭირდება, მაგრამ საქართველოში არავის უთქვამს, 10 000 საპირფარეშოს პროექტი აუცილებელიაო! ამის თქმის მრცხვენია, მაგრამ, თუ ტურისტული ქვეყანა ვართ, ეს აუცილებელია. ქვეყნის დასახლებული პუნქტების 90%-ში კანალიზაციის სისტემა მოსაწესრიგებელია, რაც ნიშნავს, რომ ტურიზმის განვითარებისთვის ელემენტარული პირობებიც კი არაა შექმნილი. სახელმწიფომ ფული განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში უნდა ჩადოს, რაც შემდგომში, ბიზნესის განვითარების საფუძველი გახდება.

### საწარმოს, სახელმწიფოზე უკეთ, კერძო სექტორი ამუშავებს

**რატომ გადაწყვიტა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობითშექმნილი საწარმოების პრივატიზება? — ამ თემაზე „ვერსია“ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილეს, არჩილ მელიქაძეს ესაუბრა.**

— ეს მთავრობის გადაწყვეტილებაა, რომელიც შარშან ზაფხულში მივიღეთ. სააგენტოს მმართველობით სტრუქტურაში არსებობს გამგეობა, რომლის თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრი, წევრები კი ეკონომიკური პროფილის მინისტრები არიან. გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება, ჩვენს დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოები გასხვისებულიყო, რის შესრულებასაც თითქმის ერთი წელი იმიტომ დასჭირდა, თითოეული საწარმოს იურიდიული პრობლემები მოგვეგვარებინა. მაგალითად, საწარმოს საკუთრებაში არსებული მიწა ბოლომდე რეგისტრირებული არ იყო და ასე შემდეგ, სწორედ ამ ტიპის საკითხები მოვაწესრიგეთ და ამ ობიექტების გასხვისება გადავწყვიტეთ.

**— გაყიდვის მოტივი ის ხომ არ არის, რომ ამ ტიპის საწარმოების სახელმწიფო საკუთრებაში არსებობა წამგებიანია, ხელისუფლება კი კერძო ბიზნესში არ უნდა ერეოდეს?**

— რა თქმა უნდა, ასეა, რადგან ასეთი ტიპის საწარმოები კერძო საკუთრებაში უკეთ მუშაობს. ეს საწარმოები ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში, 2010 წელს შეიქმნა, ზოგი კარგად მუშაობდა, ზოგი ცუდად, თუმცა პრივატიზების რეალური მოტივი ისაა, რომ ეს საწარმოები კერძო სექტორის საკუთრებაში გაცილებით ეფექტურად ამუშავდება.

**— შპს „მექანიზატორის“ გაყიდვას თუ აპირებთ?**

— შპს „მექანიზატორთან“ დაკავშირებით სხვა ვითარებაა. რა თქმა უნდა, საბოლოოდ, უნდა გასხვისდეს, მაგრამ სხვა საწარმოებისგან განსხვავებით, ის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტია, რადგან საქართველოს ბევრ რაიონში ზოგიერთი მომსახურების ერთადერთი მიმწოდებელია. შესაბამისად, არსებობს რისკი, ზოგ რაიონში, კერძო სექტორში გადასვლის შემდეგ, ეს მომსახურება ხელმისაწვდომი აღარ იქნება, ამიტომ გადაწყდა, ვიდრე შპს „მექანიზატორი“ გაიყიდება, მდგომარეობა უნდა შევისწავლოთ, რათა ეს საწარმო იმ ფორმით გაიყიდოს, სერვისების ხელმისაწვდომობა, მისი გაყიდვის შემდეგაც უზრუნველყოფილი იყოს. ამ ობიექტის გასხვისების სხვადასხვა შესაძლო ფორმა განიხილება, ერთ-ერთი ფორმა მენეჯმენტის პრივატიზებაა. ამ შემთხვევაში, კომპანია სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება, მაგრამ ხელშეკრულების საფუძველზე, მისი მენეჯმენტი გამოცდილ, კერძო კომპანიას გადაეცემა. როგორი ფორმით განხორციელდება პრივატიზება, გაურკვეველია, მაგრამ ამისთვის უცხოელ ექსპერტებს მოვიწვევთ, რომლებიც ჩვენთან ერთად განსაზღვრავენ შპს „მექანიზატორის“ გასხვისების დროსა და მექანიზმებს. სავარაუდოდ, „მექანიზატორი“ წელს არ გაიყიდება.

**— ამ ეტაპზე, აბაშაში არსებული მარცვლეულის შესანახი ცენტრი იყიდება, მაგრამ ინვესტორს მთავარ პირობად თუ მოსთხოვთ, საწარმოს პროფილი რამდენიმე წლით შეუნარჩუნოს?**

— ყველა გასაყიდი საწარმოს მთავარი პირობა ხუთი წლით პროფილის შენარჩუნების ვალდებულებაა. სიმართლე გითხრათ, ეს პირობა საჭიროც არ იყო, რადგან რეალურად, როდესაც ინვესტორი რამდენიმე მილიონს გადაიხდის და საწარმოს შეიძენს, არ მგონია, პროფილის შეცვლის სურვილი გაუჩნდეს, რადგან ეს მისთვის წამგებიანი იქნება. მიუხედავად ამისა, ხუთი წლის განმავლობაში, პროფილის შენარჩუნების ვალდებულება ყველა საწარმოს აქვს.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# მიზეზი, რის გამოც შემოსავლების სამსახურმა „ელიტ ელექტრონიქსი“ დააჯარიმა

## როდის ცრუის ანზორ ქოქოლაძე და რა არგუმენტებით უპირისპირდება ყოფილ მმართველს კომპანიის ახალი მენეჯმენტი

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, მორიგი საგადასახადო შემოწმების შედეგად, კომპანია „ელიტ ელექტრონიქსს“, 2007 წლის საანგარიშო პერიოდზე, გადასახადებისა და საურავების სახით, 6 225 339 ლარის გადახდა დააკისრა. ამ პერიოდში, კომპანიას „ტექნო ბუმის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ბიზნესმენი ანზორ ქოქოლაძე მართავდა, რომელიც აცხადებდა, რომ „ელიტ ელექტრონიქსი“ ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებმა მიზანმიმართულად გააკოტრეს და წაართვეს. სინამდვილეში, ვინ ებრძვის ანზორ ქოქოლაძეს — ახალი თუ ძველი მთავრობა?**




### საგადასახადო შემოწმების დეტალები

„ელიტ ელექტრონიქსმა“ შემოსავლების სამსახურის მიერ დარიცხული თანხა ამავე სამსახურის მედიაციის საბჭოში გაასაჩივრა, რის შედეგადაც საბჭომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საჩივარი და კომპანიისთვის დაკისრებულ თანხას — 6 225 339 ლარს, 2 491 124 ლარი გამოაკლო. თავის მხრივ, „ელიტ ელექტრონიქსს“ დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენაც მოსთხოვა. ამჟამად „ელიტ ელექტრონიქსს“, კომერციული ბანკების მიმართ, რამდენიმე მილიონი ლარის დავალიანება აქვს და კომპანია რეაბილიტაციის რეჟიმში მუშაობს.

„ელიტ ელექტრონიქსის“ ხელმძღვანელობამ საგადასახადო შემოწმების დეტალებთან დაკავშირებით ინფორმაცია გაავრცელა. კომპანიაში აცხადებენ, რომ 2013 წლის ბოლოს, შემოსავლების სამსახურმა „ელიტ ელექტრონიქსის“ გეგმური შემოწმება განახორციელა და დიდი ოდენობით ჯარიმაც დააკისრა. კომპანიის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ მას შემდეგ, რაც შემოსავლების სამსახურს დამატებითი ფინანსური დოკუმენტაცია წარუდგინეს, გადასახდელი თანხის თავიდან დაანგარიშება და შემცირება შესაძლებელი იქნება.

**„კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ ამ მოვლენებს კომპანიის მუშაობასა და მის ფინანსურ სტაბილურობაზე ზეგავლენა არ მოუხდენია. მეტიც, „ელიტ ელექტრონიქსის“ მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია და ყოველწლიურად უმჯობესდება, მაგალითად, 2013 წელს, გაყიდვები 25%-ით, მომგებიანობით კი კოეფიციენტი 50%-ით გაიზარდა, 2014 წელს, გაყიდვების ფაქტობრივმა ზრდამ 40%-ს მიაღწია“,** — აღნიშნულია „ელიტ ელექტრონიქსის“ ხელმძღვანელების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

### რატომ შეექმნა პრობლემები „ელიტ ელექტრონიქსს“

2005 წელს, თიბისი ბანკმა „ელიტ ელექტრონიქსის“ დაფინანსება დაიწყო, 2009 წელს კი, კომპანიის დაფინანსება ოთხმა წამყვანმა ქართულმა ბანკმა სესხების რესტრუქტურიზაციით გააგრძელა. ასე დაიწყო „ელიტ ელექტრონიქსის“ რეაბილიტაციის რეჟიმი, თუმცა თიბისი ბანკმა კომპანიას არსებული მენეჯმენტი შეუნარჩუნა. 2010 წელს, ანზორ ქოქოლაძემ „ელიტ ელექტრონიქსის“ დირექტორის პოსტი დატოვა, რადგან თიბისი ბანკის დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე მზად იყო, რომ ის აქციები, რომლებიც ბანკის მფლობელობაში დროებით გადავიდა, ნებისმიერ დროს დაებრუნებინა კომპანიისთვის, ოღონდ ერთი პირობით — თუ ანზორ ქოქოლაძე კომპანიის დირექტორის პოსტს დატოვებდა. თიბისი ბანკის ხელმძღვანელობა ეჭვობს, რომ ანზორ ქოქოლაძის ხელმოწერებით „ელიტ ელექტრონიქსი“ არასწორად იმართებოდა. 2009 წელს, კომპანიას სახელმწიფოს სასარგებლოდ, 7 500 000 ლარის გადახდა დაეკისრა, იმ პერიოდში ანზორ ქოქოლაძე აცხადებდა, რომ სახელმწიფომ ეს დავალიანება სპეციალურად დააკისრა, რათა კომპანია კრიზისში შესულიყო და თიბისი ბანკს ხელში ჩაეგდო. ბანკის განმარტებით, როდესაც კომპანიას, ჯამში, 49 000 000 ლარის დავალიანება აქვს, მისი აქტივი კი 12 000 000 ლარია, არ არსებობს ნორმალურად მოაზროვნე ბიზნესმენი, რომელსაც მისი დაუფლების სურვილი გაუჩნდება.

ამის შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: 2009 წელს, ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამსახურმა „ელიტ ელექტრონიქსს“, სახელმწიფოს სასარგებლოდ, 7 500 000 ლარის გადახდა დააკისრა. მართალია, ამ ვალს ანზორ ქოქოლაძე არ აღიარებს, მაგრამ შემოსავლების სამსახურმა, 2013 წლის ბოლოს ჩატარებული გეგმური შემოწმების შედეგად, დამატებითი გარემოებები აღმოაჩინა და 6 000 000 ლარზე მეტის გადახდა სწორედ იმ დარღვევების გამო დააკისრა, რასაც ამ კომპანიაში ადგილი 2007 წელს ჰქონდა.

2009-2010 წლებში, ანზორ ქოქოლაძემ „ელიტ ელექტრონიქსის“ თანხა მიითვისა და პარალელური ბიზნესის დასაწყებად მოემზადა. თიბისი ბანკში დასაბრუნებელი 7 000 000 ლარი ქოქოლაძემ თავისი დის, ეთერ ქოქოლაძის კომპანიაში გადარიცხა. გაკოტრების რეჟიმში მყოფმა „ელიტ ელექტრონიქსის“ დამფუძნებელმა, ზუსტად იგივე პროფილის ბიზნესი წამოიწყო და ახალი კომპანია — „ტექნო ბუმი“ დააფუძნა. იმ პერიოდში, თიბისი ბანკის ხელმძღვანელობა ეჭვობდა, რომ „ტექნო ბუმში“ სწორედ ის ნომრიანი საქონელი შეიტანეს, რაც სინამდვილეში, „ელიტ ელექტრონიქსს“ ეკუთვნოდა, ამიტომაც ბანკის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ ყველაფერი ეს ფინანსური მაქინაცია და თაღლითობა იყო.

### „ელიტ ელექტრონიქსის“ დაჯარიმება მენეჯმენტის ბრალია?!

**საინტერესოა, როდის ტყუის ანზორ ქოქოლაძე: მაშინ, როდესაც აცხადებს, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, მის მიმართ პოლიტიკური ზეწოლა განხორციელდა, თუ ახლა, როდესაც ახალი ხელისუფლების პირობებში, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისმა უწყებამ „ელიტ ელექტრონიქსს“ დამატებით, 6 000 000 ლარზე მეტის გადახდა დააკისრა? „ვერსია“ „ელიტ ელექტრონიქსის“ ყოფილ მფლობელსა და „ტექნო ბუმის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს, ანზორ ქოქოლაძეს დაუკავშირდა:**

**— ბატონო ანზორ, რამდენად ეთანხმებით შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებას, რომლითაც „ელიტ ელექტრონიქსს“ გადასახადებისა და საურავების გადახდა დაეკისრა?**

— როდესაც ამ ფაქტის შესახებ შევიტყვე დარიცხვის აქტს გადავხედე, 2014 წლის 11 მარტს, საგანგებო ბრიფინგი გავმართე და საზოგადოებას რეალური მდგომარეობა გავაცანი. დარიცხვის აქტიდან ნათლად ჩანდა, რომ „ელიტ ელექტრონიქსის“ ახალმა მენეჯმენტმა, საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლებს შეგნებულად არ მიაწოდა დოკუმენტაცია, რადგან კომპანიის ხელმძღვანელებს სჭირდებოდათ, რომ „ელიტ ელექტრონიქსი“ ზუსტად იმ პერიოდში დაჯარიმებულიყო, როდესაც კომპანიას მე ვმართავდი. ეს პიარისთვის დასჭირდათ, რათა დაემტკიცებინათ, რომ „ელიტ ელექტრონიქსი“ უკანონოდ კი არ დაისაკუთრეს, არამედ, ახალი ხელისუფლების პირობებშიც კი დაარიცხეს ჯარიმები და ახლა თავს იმართლებენ. ეს ისტორია ჩემთვის კარგად ნაცნობია: თიბისი ბანკმა 2009 წელსაც ასე დაიწყო, ჯერ განცხადებებით, შემდეგ უკანონო მაქინაციებით, ბოლოს კი პროკურატურის, ფინანსური პოლიციისა და სასამართლოს დახმარებით, „ელიტ ელექტრონიქსი“ დაისაკუთრა, რომელიც სულ მალე, დავით კეზერაშვილის კომპანია „ელიტ ეფლაიენსს“ გადაუფორმა და დღესაც ამ კომპანიას სწორედ კეზერაშვილის გუნდის წევრები მართავენ. შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, უკვე იციან, რომ „ელიტ ელექტრონიქსის“ გაკოტრება გარდაუვალია. მაშინ, როდესაც მაღაზიები ერთიმეორეს მიყოლებით იკეტება და რეაბილიტაციის გეგმას ვერ ასრულებენ, ცდილობენ, ყურადღება სხვა მიმართულებით გადაიტანონ. სწორედ ამიტომ, საგადასახადო სამსახურს შეგნებულად არ მიაწოდეს საჭირო დოკუმენტაცია, რადგან ამ დარიცხვით, წინა წლებში, მათ მიერ ჩადენილი დანაშაული და კომპანიაში არსებული ვითარება შეენიღბათ. დღეს, როდესაც ახალი ხელისუფლების პირობებში, ბიზნესზე ზეწოლა შეწყდა და ბიზნესმენებს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში მუშაობის საშუალება მოგვეცა, როდესაც „ტექნო ბუმი“ ბაზრის აშკარა ლიდერი ხდება, მათთვის ჯანსაღი კონკურენციის პირობებში, კონკურენციის გაწევა სულ უფრო რთულდება. შესაბამისად, ისინი ამ გზით ცდილობენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და საკუთარ უუნარობას ჩემს სახელს უკავშირებენ. ამჟამად ვაგრძელებთ ბრძოლას „ელიტ ელექტრონიქსის“ დასაბრუნებლად, როგორც სტრასბურგში, ისე საქართველოში. რაც უფრო მალე დააბრუნებენ კომპანიას, უკეთესი იქნება, როგორც თიბისი ბანკისთვის, ისე დავით კეზერაშვილისთვის, თუმცა რაც მეტად გაიწელება ეს პროცესი, მით მეტად დაზარალდებიან.

**— გასაგებია, რომ ნაციონალური მოძრაობის დროს, „ელიტ ელექტრონიქსი“ წაგართვეს, მაგრამ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ამ კომპანიას ჯარიმა მაინც დაარიცხეს, კონკრეტულად, რას ედავება შემოსავლების სამსახური „ელიტ ელექტრონიქსს?**

— როგორც იცით, ნაციონალური მოძრაობა ცდილობდა, ბიზნესზე მაქსიმალური კონტროლი დაეწესებინა, მოეცილებინა არასასურველი ბიზნესმენები და მსხვილი ბიზნესის მონოპოლიზება განეხორციელებინა, რათა პოლიტიკური მართვის ინსტრუმენტად გამოეყენებინა. მათთვის მეც არასასურველი და არახელსაყრელი ბიზნესმენი ვიყავი, ამიტომ მთელი სახელმწიფო სისტემა ამუშავდა, მათ შორის, ფინანსური პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო, საგადასახადო და საბაჟო სამსახურები. ამ პროცესის ხელმძღვანელი ზურაბ ადეიშვილი, ხოლო შემსრულებელი დავით კეზერაშვილი იყო. 2007-2009 წლებში, ჩვენს წინააღმდეგ უამრავი უკანონო ქმედება გამოიყენეს და ზეწოლა განახორციელეს. უკანონოდ დაგვარიცხეს ჯარიმები, ქონება დააყადაღეს, საბაჟოზე, საყოფაცხოვრებო ტექნიკით დატვირთული 8 კონტეინერი ერთი წლით გააჩერეს, თანამშრომლები დააპატიმრეს, ინვესტორების შემოყვანაში ხელი შეგვიშალეს. რაც შეეხება ახლანდელ სიტუაციას, როგორც უკვე გითხარით, მათ უკვე იციან, რომ „ელიტ ელექტრონიქსის“ გაკოტრება გარდაუვალია. ჩემი ბრიფინგის შემდეგ, კომპანიამ უკვე მიაწოდა გარკვეული დოკუმენტაცია საგადასახადოს და როგორც ცნობილია, დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, დარიცხულ თანხას 2 500 000 ლარი გამოაკლეს. როგორც ფინანსთა სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, ისინი კვლავ ითხოვენ დამატებით დოკუმენტაციის წარდგენას და მეც ზუსტად ამას ვამბობ, რომ დამატებითი დოკუმენტების წარდგენა საჭირო იყო. დარწმუნებული ვარ, თუ „ელიტ ელექტრონიქსის“ მენეჯმენტი სრულად მიაწვდის ყველა დოკუმენტს, რომელიც მათ ხელთაა, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური დარიცხულ თანხას მთლიანად მოხსნის.

### „ელიტ ელექტრონიქსის“ მენეჯმენტი ქოქოლაძის ბრალდებას უარყოფს

**დაუმალა თუ არა „ელიტ ელექტრონიქსის“ მენეჯმენტმა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს ფინანსური დოკუმენტაცია? „ვერსია“ კომპანია „ელიტ ელექტრონიქსის“ გენერალურ დირექტორს, ლადო ჯობავას დაუკავშირდა, რომელიც ამ კომპანიის ყოფილი მმართველის, ანზორ ქოქოლაძის ბრალდებებს პასუხობს.**

**— ბატონო ლადო, რას ნიშნავს ანზორ ქოქოლაძის განცხადება, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დოკუმენტები მართლა დაუმალეთ?**

— ანზორ ქოქოლაძის ეს განცხადება სიცრუეა, ვინაიდან ს/ს „ელიტ ელექტრონიქსის“ ინტერესში არ შედიოდა და არც შეიძლება შედიოდეს ამ ოდენობის თანხის გადახდა. ამის დასტურია ისიც, რომ ს/ს „ელიტ ელექტრონიქსმა“, დარიცხული გადასახადი შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოში გაასაჩივრა. აღნიშნული საჩივრის შედეგად, კომპანიას დარიცხული თანხა 3 000 000 ლარამდე შეუმცირდა. გარდა ამისა, ქოქოლაძის განცხადების უსაფუძვლობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ გასაჩივრებამდე, სამუშაო შეხვედრა შედგა „ელიტ ელექტრონიქსის“ იმჟამინდელ ფინანსურ დირექტორსა და მთავარ ბუღალტერთან, რომლებიც დღეს, შპს „ტექნო ბუმის“ მენეჯმენტს წარმოადგენენ, რათა ს/ს „ელიტ ელექტრონიქსს“ მეტი ინფორმაცია მიეღო 2007 წლის ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, მათ ვერ შეძლეს ჩვენთვის რაიმე ღირებული ინფორმაციის მოწოდება. ამასთან, ს/ს „ელიტ ელექტრონიქსმა“ შემოსავლების სამსახურთან დავის სრულფასოვნად წარმოებისთვის, დამატებით დაიქირავა აუდიტორული და იურიდიული კომპანიები. ამ ეტაპზე, დარჩენილი დარიცხული დავალიანების შემცირების მიზნით, მუშაობა მიმდინარეობს.

**— ანზორ ქოქოლაძე იმასაც აცხადებს, რომ „ელიტ ელექტრონიქსის“ მაღაზიები ერთიმეორის მიყოლებით იკეტება, რამდენად რეალურია ეს განცხადება?**

— არ შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან 2013 წელს, ორი დახურული მაღაზიის ნაცვლად, ხუთი ახალი მაღაზია გავხსენით, მათ შორის, „თბილისი ცენტრალში“ მდებარე, სრულიად ახალი კონცეფციის მაღაზია. ს/ს „ელიტ ელექტრონიქსი“ ვითარდება, შესაბამისად, მიმდინარე წელს, საქართველოს მასშტაბით არსებული მაღაზიების განახლებას ვგეგმავთ და ბაზარზე ახალი კონცეფციის მომსახურების დანერგვასაც ვაპირებთ. კომპანიის მიზანია, მომხმარებელს შეუქმნას საუკეთესო პირობა ტექნიკის შეძენისას, რაც გულისხმობს ბავშვთა გასართობი კუთხისა და კაფეტერიის შეთავაზებას. ახალი კონცეფციის მქონე მაღაზიების რიგს, ძალიან მალე შეუერთდება ქავთარაძის №1-ში მდებარე მაღაზია, რომელიც საქართველოს მასშტაბით, სს „ელიტ ელექტრონიქსის“ ყველაზე დიდი მაღაზია გახდება, რადგან მისი სავაჭრო ფართი 3 000 კვ.მ-ს მოიცავს. ყაზბეგის გამზირზე არსებულმა მაღაზიამ ადგილმდებარეობა შეიცვალა და ამჟამად, ს/ს „ელიტ ელექტრონიქსის“ მომსახურებით, შეგიძლიათ, ქავთარაძის №1-ში არსებულ მაღაზიაში ისარგებლოთ.

**— თქვენი აზრით, ანზორ ქოქოლაძის მმართველობის დროს, რატომ დაუგროვდა „ელიტ ელექტრონიქსს“ დავალიანება, ეს წინა ხელისუფლების ზეწოლის შედეგი იყო, თუ მენეჯმენტის გაუმართლებელი მარკეტინგული სვლა?**

— ჩვენი აზრით, ეს მხოლოდ არასწორი მენეჯმენტის შედეგია.

# თურქული დელეგაცია უზენაესს სასამართლოში

## თბილისში „მართლმსაჯულების სახლი“ საზეიმოდ გაიხსნა

**თურქეთის რესპუბლიკის სასამართლოს დელეგაციის ვიზიტმა საქართველოში სამ დღეს გასტანა. საკმაოდ წარმომადგენლობით დელეგაციას თურქეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ალი ალკანი ხელმძღვანელობდა. ვიზიტის პროგრამა საკმაოდ დატვირთული იყო და აქედან გამომდინარე, მისი შედეგებიც ხელშესახები აღმოჩნდა.**



კონსტანტინე კუბლაშვილმა და ალი ალკანმა „მართლმსაჯულების სახლი“ საზეიმოდ გახსნეს

სტუმრები გაეცვნენ არამხოლოდ ზოგადად ქართულ მართლმსაჯულების სისტემას და მის რეფორმირებასთან დაკავშირებული ინოვაციური პროექტების დეტალებს, არამედ ზოგადად ჩვენი სასამართლო სისტემის მოდელსა და მოწყობის ძირითად პრინციპებს. შეხვედრები სხვადასხვა დონეზე შედგა. 13 მაისს თურქეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ალი ალკანის მასპინძელი მისი ქართველი კოლეგა კონსტანტინე კუბლაშვილი იყო. პროტოკოლით გათვალისწინებულზე თითქმის ორჯერ მეტ ხანს გაგრძელებული შეხვედრის დეტალები ორი ქვეყნის სასამართლო ხელისუფლების პირველმა პირებმა ხანმოკლე ბრიფინგზე შეაფასეს.

**კონსტანტინე კუბლაშვილი:** „ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობა მეგობრობასა და პარტნიორობაზეა დაფუძნებული. აქედან გამომდინარე, სასამართლო ხელისუფლებების დელეგაციათა შეხვედრებიც საინტერესო და შინაარსიანი აღმოჩნდა. სამდღიანი ვიზიტის განმავლობაში შეხვედრები ყველა დონეზე - მათ შორის, პირველი ინსტანციის სასამართლოების დონეზეც შედგება.

ჩვენი ქვეყნების სასამართლო სისტემებში ბევრი სხვაობაა, ვიზიტის ერთ-ერთ მიზანს გამოცდილების გაზიარება წარმოადგენს: რა შეიძლება გადმოვიღოთ ჩვენი თურქი მეგობრებისგან და რა შეიძლება შევთავაზოთ მათ იმ ქართული პროექტებიდან, რომლებმაც გაამართლეს. დავინახეთ, რომ ჩვენს მეგობრებსა და პარტნიორებს ამგვარი ინტერესი გააჩნიათ და ვეცდებით, ამ მხრივ მათი ვიზიტი ნაყოფიერი აღმოჩნდეს“.

**ალი ალკანი:** „მოხარულები ვართ, რომ საქართველოში ვიმყოფებით. გვინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ გულითადი მასპინძლობისთვის, რომელსაც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჩამოფრენის მომენტიდანვე ვგრძნობდით. ეს მადლობა თანაბრად ეკუთვნის როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ასევე მის თითოეულ თანამშრომელს.

ჩვენი ქვეყნები გეოგრაფიულად ერთ რეგიონს მიეკუთვნებიან. აქედან გამომდინარე, მათ საერთო მომავალი და ბედისწერა აქვთ. წლების განმავლობაში საქართველოსა და თურქეთს შორის პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროებში სანიმუშო ურთიერთობა ჩამოყალიბდა. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირაში საქართველოში იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი საკმაოდ წარმომადგენლობით დელეგაციასთან ერთად. ჩვენი სურვილია, რომ ორი მეზობელი და პარტნიორი ქვეყნის ურთიერთობა მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირებით არ შემოიფარგლოს. წლების განმავლობაში, ბუნებრივია, გვქონდა კონტაქტები სასამართლოს დარგშიც, მაგრამ უზენაესი სასამართლოების დონეზე ეს კონტაქტი პირველია. ბატონმა კოტე კუბლაშვილმა მოგვაწოდა ინფორმაცია საქართველოში მოქმედი სასამართლო სისტემის შესახებ. შესაბამისად, ჩვენ მას გავუზიარეთ ანალოგიური ინფორმაცია. იურისპრუდენცია გლობალური სფეროა და მიუხედავად მოქმედ სისტემებში არსებული განსხვავებისა, შეხების წერტილები და პრობლემატიკაც, ხშირ შემთხვევაში, საერთოა. ეს კონტაქტები დაგვეხმარება, ერთმანეთისგან წარმატებული პროექტები გავიზიაროთ და ჩვენი საქმიანობა კიდევ უფრო დახვეწილი გავხადოთ.“

ბრიფინგის შემდეგ თურქეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობაში არსებული მართლმსაჯულების მუზეუმიც დაათვალიერეს. თურქ კოლეგას მეგზურობას თავად კოტე კუბლაშვილი უწევდა. ამ მუზეუმში, სხვა ექსპონატებთან ერთად, გამოფენილია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერები, რამაც სტუმრების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვიზიტის პროგრამა უზენაესი სასამართლოს გარდა, სხვა ინსტანციის სასამართლოთა დონეზე კონტაქტებსაც ითვალისწინებდა. თურქი სტუმრები თბილისისა და მცხეთის საქალაქო სასამართლოებს ესტუმრნენ, გაეცნენ ინფრასტრუქტურასა და მუშაობის ძირითად პრინციპებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოში სტუმრობისას თურქული დელეგაცია გაეცნო ქართული სასამართლო სისტემის ერთ-ერთ ყველაზე ინოვაციურ პროექტს სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამების შესახებ. ამ შემთხვევაში სტუმრებს ქართული პროექტი თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანმა გააცნო.

მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზე, მუშაობის სპეციფიკაზე, სასამართლოთა შორის თანამშრომლობაზე. დელეგაციის წევრებმა მათთვის საინტერესო ყველა შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი მიიღეს.

მამუკა ახვლედიანმა დელეგაციის წევრებს სასამართლოს შენობა, ნაფიც მსაჯულთათვის განკუთვნილი სასამართლო სხდომის დარბაზი, მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი დაათვალიერებინა და მისი ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. სტუმრები, ასევე, დაესწრნენ სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო განხილვის სხდომას, რომელზეც მხარეთა შეთანხმების საფუძველზე სასამართლომ საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა.



კონსტანტინე კუბლაშვილმა ალი ალკანს უზენაეს სასამართლოში უმასპინძლა



თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი და ალი ალკანი შეხვედრისას

### მოსამართლეებმა პროფესიული დღე გამორჩეულად აღნიშნეს

2014 წლის 15 მაისს, მოსამართლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები „მართლმსაჯულების სახლის“ საზეიმო გახსნით დაიწყო. ცერემონია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა და საქართველოში სტუმრად მყოფმა თურქეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ალი ალკანმა გახსნეს.

„მართლმსაჯულების სახლის“ გახსნის ცერემონიას დაესწრნენ სამივე ინსტანციის მოსამართლეები, საქართველოში მოქმედი როგორც ქართული, ასევე უცხოური არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

„მართლმსაჯულების სახლი“ სასამართლო რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ინოვაციური პროექტია, რომელიც ერთ სივრცეში აერთიანებს, როგორც სასწავლო, ასევე მედიაციის სფეროსთვის განკუთვნილ სერვისებს. „მართლმსაჯულების სახლი“ წარმოადგენს უახლესი ტექნიკით აღჭურვილ და კეთილმოწყობილ, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ერთ-ერთი უდიდეს ტრენინგ ცენტრს, სადაც შესაძლებელი იქნება ჩატარდეს რეგიონული მასშტაბის ღონისძიებები.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ სტუმრებს „მართლმსაჯულების სახლი“ დაათვალიერებინა და ყველა სერვისის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა.

„მართლმსაჯულების სახლის“ დათვალიერების შემდეგ სტუმრები საკონფერენციო დარბაზში შეიკრიბნენ. მოსამართლეებს და მოწვეულ სტუმრებს მიესალმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. კონსტანტინე კუბლაშვილმა მოსამართლეებს პროფესიული დღე მიულოცა და მათი საქმიანობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. ქართველ მოსამართლეებს პროფესიული დღე მიულოცა ასევე თურქეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ალი ალკანმა და ორ ქვეყანას შორის მეგობრული და საქმიანი ურთიერთობების მნიშვნელობაზე ისაუბრა. მან ასევე მადლობა გადაუხადა ქართველ კოლეგებს გულითადი მასპინძლობისთვის.

საზეიმო ცერემონია მოსამართლეების დაჯილდოებით დასრულდა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მაღალი პროფესიონალიზმის, კეთილსინდისიერებისა და პრინციპულობის ნიშნით გამორჩეული 7 მოსამართლე სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა, ასევე საქმეთა განხილვის მასშტაბურობითა და პროფესიონალიზმის ნიშნით ხაზი გაუსვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების შრომას და სასამართლოს თავმჯდომარეს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

„მართლმსაჯულების სახლის“ შესასვლელ ფოიეში მოეწყო გამოფენა „მოსამართლე ძველ საქართველოში“, რომელიც მომზადებულია ქართული სამართლის ძეგლებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით.

„მართლმსაჯულების სახლის“ საკონფერენციო დარბაზში მოსამართლეებისთვის გაიმართა პრეზენტაცია, რომელიც 2013-2014 წლების სასამართლო სტატისტიკისა და უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდებზე დამატებულ ახალ პროგრამებს: საერთაშორისო აქტების კატალოგსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამას შეეხება.

*თურქეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ალი ალკანმა ვიზიტის მიმდინარეობისას რამდენიმე სხვა საქმიანი შეხვედრაც გამართა. როგორც თავად სტუმარმა აღნიშნა, შინაარსიანი და ნაყოფიერი გამოდგა მისი საუბრები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივან ლევან მურუსიძესთან და იუსტიციის უმაღლესი სკოლის რექტორ ლაშა მაღრაძესთან.*

პროექტს ახორციელებს შპს „ბესთკომპანი ჯორჯია“
ელ-ფოსტა: bestcompany_z@yahoo.com

# გლდანის ციხეში პატიმრებს ისევ აწამებენ და გაუპატიურებით ემუქრებიან?

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

**ერთი თვის წინ, გლდანის მერვე დაწესებულებაში, პატიმარმა გიორგი კანდელაკმა მუცელი შუშის ნატეხით იმის გამო გადაიჭრა, რომ გაუსაძლისი ტკივილის დროს, ციხის ადმინისტრაციამ გამაყუჩებელი მედიკამენტები არ მიაწოდა. მსჯავრდებულის დედის, მთვარისა ნარვენიანის განცხადებით, მისი დაჭრილი შვილი ზედამხედველებმა იმ ღამით 4-ჯერ სასტიკად სცემეს, ამასთან, არც ექიმი შეუყვანეს და ექსპერტიზის ჩატარების საშუალებაც არ მისცეს. „ვერსია“ თავისუფალ ტრიბუნას პატიმრის დედას უთმობს, რომელიც ხელისუფლებას გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს.**




— ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგობის მიუხედავად, სახალხო დამცველისა და სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილის ჩარევით, ექიმის შეყვანა და ექსპერტიზის ჩატარება მაინც მოხერხდა. ამ საკითხზე გამოძიებაც მიმდინარეობს. კიდევ არიან ნაცემი პატიმრები, თუმცა ამაზე საჯაროდ არ ლაპარაკობენ — ვინც ხმა არ ამოიღო, ციხეში კარგი პირობები შეუქმნეს. მე კი ვერ გავჩუმდები და უსამართლობას ვერ შევურიგდები! ბოლო ინციდენტის დროს, ადგილი ფსიქოლოგიურ წნეხსაც ჰქონდა — იმუქრებოდნენ გაუპატიურებით და ეუბნებოდნენ, არაფერი შეცვლილა, აქ ისევ ჩვენ ვართო.

**— ამბობთ, გლდანის მერვე საპყრობილეში გიორგის იმიტომ გაუსწორდნენ, რომ ციხის თანამშრომლებს შორის ძველი მწამებლები ამოიცნო. თქვენი ვაჟი სასჯელს რისთვის იხდის?**

— ჩემმა ფსიქიკურად ავადმყოფმა მულისშვილმა, ლევანმა დაინახა, როგორ შევიდნენ უბნელები მეზობლის აგარაკის გასაქურდად, სადაც არავინ ცხოვრობდა. მძარცველებში ადვილად ამოიცნო მეზობელი ძმები, რომლებიც ციხიდან ახალგამოსულები იყვნენ. წავიდა და ყველაფერი სახლის დარაჯს უამბო. მიუხედავად იმისა, საცოდავმა ბავშვმა სთხოვა, არ თქვათ, ამბავი მე რომ მოგიტანეთ, თორემ მომკლავენო, ეს სულელი კაცი მძარცველებთან მივიდა და უთხრა, ლევანმა დაგინახათო. იმ საღამოსვე სახლში შემოგვიცვივდნენ, ლევანს და მამამისს საცემრად მიცვივნდენ. ჩემი ქმარი გასაშველებლად რომ ჩაერია, ისიც წიხლქვეშ გაიგდეს. ამ დროს გიორგი ტყიდან ახალმოსული იყო (ნაკვეთს ამუშავებდა), ფეხებთან დატენილი სანადირო თოფი ედო. ყველაფერ ამის შემყურემ, იარაღს ხელი დაავლო და ორჯერ გაისროლა. ერთი ადგილზე გარდაიცვალა, მეორე გაიქცა, მაგრამ ეზოში ისიც დავარდა. შიშისგან ყველა გაიქცა. ჩემი შვილი კი დარჩა ადამიანთან, რომელიც სიცოცხლეს გამოასალმა. თოფი მხრიდან არც ჩამოუღია, ისე მიიტანა გვამი ეზოში, ონკანთან და წყალს შეუშვირა. ფიქრობდა, გამოვაფხიზლებო. შოკში იყო, მომხდარს ვერ აცნობიერებდა, ვერ წარმოედგინა, რომ კაცი მოკლა. როცა დაიჭირეს, ერთი ზარის უფლება მისცეს და დამირეკა, დედა, თურმე, მეორეც მომკვდარა, მორჩა, დავიღუპე, ბოდიშს გიხდი, ახლა ჩემს გამო მთელი ცხოვრება ტანჯვად გექცევაო. ახლობლები ეხვეწებოდნენ, ჩვენება არ მიეცა, მაგრამ მაზიარებელი ადამიანია, ტყუილი ვერ თქვა, ყველაფერი აღიარა და საკუთარი თავი მაქსიმალურად დაასაჯევინა. ორმაგად მეცოდება, რადგან ეს უბედურება ოჯახისა და მამის დაცვის გამო დაემართა და ამხელა ცოდვა ჩაიდინა. ის უბედური ბიჭები, როგორც გითხარით, მანამდე სასჯელს იხდიდნენ. 6 დედმამიშვილიდან, ყველანი, ორი დაც კი, დაჭრილები იყვნენ. გიორგი თავად რომ ყოფილიყო მოძალადე და სხვას მივარდნოდა, ალბათ, უფრო მშვიდად ვიქნებოდი — ახლა კი მოსვენება დაკარგული მაქვს, რადგან ჩემი მორწმუნე, წესიერი შვილი ვითარების მსხვერპლი გახდა.

**— სასამართლომ თავდაცვის დროს ჩადენილი მკვლელობისთვის სასჯელი არ შეუმსუბუქა?**

— ექსპერტიზა, რომელიც პროკურორის მეთვალყურეობის ქვეშ ჩატარდა და რომელიც ადასტურებდა, რომ დანაშაული აფექტის დროს იყო ჩადენილი, მოსამართლე ომარ ჯორბენაძემ უგულებელყო. მერე ალტერნატიული კვლევა ჩაატარეს და საპირისპირო შედეგი დადეს. მახსოვს, ექსპერტი ქალი ცხარე ცრემლებით ტიროდა, თუ მათ სასურველ საბუთს არ გავაკეთებდი, დამიჭერდნენო. პროკურორმა ნიკა გებუაძემ კი შემომითვალა, ადვოკატები მამამისის საადვოკატო ბიუროდან ამეყვანა. სამწუხაროდ, ასე მოვიქეცი. მათ კი სასამართლოზე, პრაქტიკულად, ხმაც არ ამოუღიათ. ჩემს შვილს 22 წელი მიუსაჯეს... საპროცესო გარიგებასაც შეგვპირდნენ, რის გამოც სახლი გავყიდეთ, მაგრამ მერე, რატომღაც უარი გვითხრეს... ადვოკატებსა და სასამართლოებზე სირბილში ის ფულიც შემოგვეხარჯა და უსახლკაროდ დავრჩით. გიორგის ამბავს შეეწირა ჩემი ქმარი — ერთ-ერთ მიტინგზე სასტიკად სცემეს, ფილტვებში ჰემატომა განუვითარდა, ნელ-ნელა გაილია და 23 სექტემბერს გარდაიცვალა, მალევე ჩემი მულიც დაიღუპა...

**— თქვენი ოჯახის გაწირვა ვის ინტერესში შედიოდა?**

— სააკაშვილის რეჟიმის აქტიური ოპოზიციონერი ვიყავი. ამაზე ბევრს არ ვილაპარაკებ და მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მარნეულში, ერთ-ერთი გაზეთის მთავარი რედაქტორი გახლდით. მოსახლეობაც დიდ პატივს მცემდა და გვერდით მედგა. ამის გამო იმდროინდელი ხელისუფლება მტრად მომეკიდა. ჩემი შვილი 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, ძველი თბილისის პოლიციამ დააკავა. 8 ყაჩაღობას აბრალებდნენ. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ზეწოლის ქვეშ იქნებოდა. ღვთის წყალობით, ამოცნობაზე მისულმა დაზარალებულებმა გიორგის ხელი არ დაადეს, მერე, ნარკოტიკებზე რომ შეამოწმეს, სუფთა აღმოჩნდა და იძულებულები გახდნენ, გამოეშვათ პოლიციას რომ ტოვებდა, პირჯვარი გადაიწერა, საცოდავმა, ღმერთო, აქ ნურასოდეს მომაბრუნებო. ამ ამბიდან ერთი წელი არ იყო გასული, მკვლელობა რომ მოხდა. აი, მაშინ უკვე ბოლომდე იყარეს ჩემზე ჯავრი... ჩემ ქმარს შუაღამით ვაღვიძებდი ხოლმე, გული მიგრძნობს, ახლა გიორგის სცემენ-მეთქი. წავიდოდით, გლდანის ციხესთან, აღმართზე, მანქანას გავაჩერებდით, პატიმრების ყვირილში შვილის ხმას ვარჩევდი და ღამეებს ტირილში ვატარებდი. რამდენი წელიწადია, ყოველდღე უფალს ვევედრები, რამე ცუდი არ გავიგო, გათენებისა და დაღამების ერთნაირად მეშინია, დავიღალე. მიტინგებზე რომ გამოვდიოდი, გიორგის თავი არმატურით მაშინ გაუხეთქეს. ძლიერი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტრავმები აქვს და ისეთ დღეშია, რაღაც ხმები ესმის, მოლანდებები დაეწყო... საქართველოს მთავრობამ შვილი ჭკუიდან გადამიყვანა, ახლა ვალდებულია, უმკურნალოს და ფულადი კომპენსაცია გადაუხადოს!

**— თქვენი შვილი წინა ხელისუფლებამ დაიჭირა. ფულად კომპენსაციას ახალ ხელისუფლებას რატომ სთხოვთ?**

— ჩემი შვილი ამ ხელისუფლების პირობებშიც პატიმარია. ვალდებულნი არიან, უმკურნალონ და კომპენსაცია მოგვცენ. ამას საქართველოში თუ ვერ მივაღწევ, სარჩელს სტრასბურგში შევიტან. 5 წლის განმავლობაში, ყველანაირად დავზარალდით, პრაქტიკულად, ამოვწყდით — ნერვიულობის ნიადაგზე სიმსივნე დამემართა...

**— გიორგი ახლა სადაა, დაცულია?**

— გიორგის ამჟამინდელ ადგილსამყოფელს, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ გავამხელ. საკანში მარტო ზის და საფრთხე აღარ ემუქრება. კითხულობს წიგნებს... რომ ამბობენ, ფსიქოტროპულ წამლებს ითხოვდაო, ნარკომანი კი არ იყო, კბილის ტკივილის დროს ანალგინს თუ დალევდა, ისიც აძინებდა. მიშას დროს „შესვეს“ ძლიერ მედიკამენტებზე, გაბრუებული რომ ჰყოლოდათ. ამასწინ, მოკლევადიან შეხვედრაზე ფსიქოტროპული წამლების ანოტაცია თავად გავაცანი, რის შემდეგაც უარი თქვა ყველანაირ მედიკამენტზე. ხომ შეიძლებოდა, ეს ფსიქოლოგის დახმარებით უფრო ადრე მოეგვარებინათ? გლდანის ციხეში რეჟიმის უფროსი წესრიგს ძველი მეთოდებით ამყარებს. ჩემს შვილს ცემის დროს ეუბნებოდნენ, ვიცით, ჭრილობა რომ გაქვს და სისხლი გდის, მაგრამ ახლავე გიპოვით კამერაში „ბრიტვებსო“ ანუ კიდევ ახალი დანაშაულის დაბრალება უნდოდათ.

**— იმის თქმა გინდათ, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, სასჯელაღსრულების სისტემაში არაფერი შეიცვალა?**

— ბევრი რამ შეიცვალა, კვებაც უკეთესია. ადრე, ციხეში წყალს, მგონი, სპეციალურად კეტავდნენ და, 4 დღის მოწყურებულ პატიმარს წყალი რომ მოეთხოვა, ხელკეტებით უმასპინძლდებოდნენ. ადრე, პატიმრების ოჯახის წევრები, იმის შიშით, ციხეში ჩვენი ახლობლები არ დაეხოცათ, ვდუმდით, ახლა კი, პირიქით, ჩვენი ადმინისტრაციას ეშინია... სოზარ სუბარი თითოეული მსჯავრდებულის ცემასა და წამებას ისევე უნდა განიცდიდეს, როგორც მშობლები. ვითხოვ, გადაიხედოს ძველი საქმეები, რადგან ადრე არავინ უყურებდა, რამდენად სამართლიანი იყო განაჩენი. გიორგის ამნისტიაც არ შეეხო.

**— მკვლელობაზე მსჯავრდებულს ამნისტია რომ არ შეეხო, რა გასაკვირია?**

— მართალია, მძიმე მუხლით ზის, მაგრამ 5 წელი ხომ გაატარა იმ ჯოჯოხეთში? კომუნისტებიც კი, როცა დახურული ტიპის დაწესებულებაში იხდიდი სასჯელს, ერთ დღეს ორად გითვლიდნენ. ამათაც ჩაეთვალათ წამების ეს 5 წელი ათად. ძალიან მინდა, ჩემი უბედური ბიჭი ჯანმრთელი დამიბრუნდეს. ველოდები მეთვრამეტე კოლონიის დასრულებას და იმედი მაქვს, გიორგის იქ გადაიყვანენ, სადაც დაასაქმებენ კიდეც, ადამიანურ პირობებში იცხოვრებს და შესაბამის მკურნალობას დაუნიშნავენ.

## ვერსიანიუსი

### შსს-მ „ბიოს“ შეძენა-შენახვის ფაქტზე ერთი პირი დააკავა



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ივანე ლ. თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 1,2851 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა კანაბინომიმეტურად მოქმედ ქიმიურ ნაერთთა კლასს მიეკუთვნება.

გამოძიება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილით). გამოძიებას შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი აწარმოებს.

*„ვერსიანიუსი“*

### ოკუპანტებმა თამარაშენში მწყემსი დააკავეს



ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს, ფცას რწმუნებულის, თამაზ ბერუაშვილის ინფორმაციით, რუსი სამხედროები თავიანთი დისლოკაციის ადგილს დაახლოებით 60-80 მეტრით გამოცდნენ და ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოვიდნენ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტში კი აცხადებენ, რომ 54 წლის ოთარ ქოქოშვილმა ადმინისტრაციული საზღვარი თავად შეცდომით გადაკვეთა, ვინაიდან იქ მავთულხლართები და სხვა აღნიშვნითი ნიშნები არ არის.

დაკავებული ცხინვალის იზოლატორშია გადაყვანილი. მისი გათავისუფლების მიზნით მოლაპარაკებები ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ცხელი ხაზის მეშვეობით მიმდინარეობს.

*„ინტერპრესნიუსი“*

# სუდოკუმანია

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | 8 | | 6 | | 1 | |
| | | | 7 | | | 6 | 2 | 9 |
| | | | | 2 | | | | |
| | 9 | | 6 | 8 | | 5 | | |
| | | 3 | | | | 7 | | |
| | | 7 | | 3 | 9 | | 6 | |
| | | | | 6 | | | | |
| 5 | 1 | 8 | | | 3 | | | |
| | 3 | | 9 | | 5 | | | 4 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 6 | 5 | 4 | |
| 1 | | | | | 5 | | | 3 |
| 6 | 5 | 3 | | | 2 | | | |
| | | 8 | 6 | | | | | |
| | 6 | 2 | | 1 | | 9 | 3 | |
| | | | | | 9 | 8 | | |
| | | | 5 | | | 2 | 8 | 7 |
| 3 | | | 2 | | | | | 4 |
| | 7 | 5 | 4 | | | | | |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 9 | 8 | 7 |
| | | | 6 | | | | 2 | |
| | | | | 8 | 9 | 4 | 5 | |
| 5 | | | | | 2 | | 6 | 3 |
| | | | | 4 | | | | |
| 2 | 1 | | 3 | | | | | 5 |
| | 5 | 2 | 1 | 7 | | | | |
| | 4 | | | | 5 | | | |
| 7 | 3 | 6 | | | | | | |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | 1 | | | | | 5 |
| | | | | | 9 | 2 | | 8 |
| | | 4 | 6 | 2 | | | | |
| | | 5 | | 1 | 8 | | 7 | |
| 9 | | | | 6 | | | | 1 |
| | 1 | | 2 | 5 | | 8 | | |
| | | | | 9 | 2 | 7 | | |
| 4 | | 9 | 3 | | | | | |
| 6 | | | | | 1 | 3 | | |



## ცოდვების მოსანანიებლად ძაღლზე იქორწინა

ინდოელმა 33 წლის მამაკაცმა ცოდვების მონანიება გადაწყვიტა და ცოლად ძაღლი შეირთო. ახალგამომცხვარი სიძის თქმით, უკვე 15 წელია, წყევლას ატარებს, რადგან მოკლა და ხეზე ჩამოახრჩო ორი ძაღლი. უკვე ხელ-ფეხი აღარ მემორჩილება, ცალ ყურში სმენაც დამაკლდა, — ამბობს „ცოდვილი“ ინდოელი. ერთხელაც მამაკაცმა ასტროლოგს მიმართა, რომელმაც განუცხადა, რომ დახოცილი ძაღლების სული არ აძლევს მოსვენებას. ცოდვის გამოსყიდვის ერთადერთი გზა კი ძაღლზე დაქორწინება იყო. აღსანიშნავია, რომ ინდოეთის ზოგ პროვინციაში დღესაც მიღებულია „ცხოვრების თანამგზავრად“ ცხოველის არჩევა, რადგან აქაურებს მიაჩნიათ, რომ ასე ბოროტ სულებს დევნიან. ძაღლების მკვლელი მამაკაცისა და მისი რჩეული მაწანწალა ძაღლის, სელვის ქორწინების ცერემონია ერთ-ერთ ინდურ ტაძარში გაიმართა. „პატარძალი“ ქორწილისთვის სიძის ახლობლებმა მოამზადეს: დაბანეს და საქორწილოდ ნარინჯისფერი სარით მოკაზმეს, არც ყვავილების გირლანდები დავიწყებიათ. სადღესასწაულო ცერემონიის შემდეგ სიძემ სტუმრების პატივსაცემად წვეულებაც გამართა, „პატარძალი“ კი ტკბილ ფუნთუშას დაყაბულდა.



## უბილეთო მგზავრებს საღებავს ასხამენ

ინდონეზიელებს, რომლებიც უბილეთოდ იმგზავრებენ, მატარებლის სახურავზე, ფერადი საღებავით „დაამშვენებენ“, რათა პოლიციამ ადვილად გაარჩიოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სხვა მგზავრებისგან და მათი დაკავება შეძლოს. მატარებლები, რომლებიც დედაქალაქ ჯაკარტას მეზობელ ქალაქებთან აკავშირებს, იმდენადაა გადატვირთული, რომ უფასოდ მგზავრობის მსურველები ვაგონის სახურავზე ადიან და დანიშნულების ადგილამდე ასე მგზავრობენ. ასეთი იაფი, მაგრამ სახიფათო გადაადგილება ზოგჯერ სავალალოდაც მთავრდება — ბოლო ორ წელიწადში მატარებლის სახურავიდან 53 ადამიანი ჩამოვარდა და გარდაიცვალა. რამდენიმე წელია, ინდონეზიის ხელისუფლება მგზავრობის ამ არაცივილურ საშუალებასთან ბრძოლას ცდილობს, მაგრამ ლიბერალურმა მეთოდმა შედეგი ვერ გამოიღო. ცოტა ხნის წინ კი, სახელმწიფო სარკინიგზო კომპანიამ რადიკალური ზომების მიღება გადაწყვიტა და განაცხადა, რომ უბილეთოებს საღებავს შეასხამენ.

## ნეაპოლელებმა ნაგვის გაყიდვა დაიწყეს

იტალიაში, ქალაქ ნეაპოლში, სადაც კატასტროფული ვითარებაა ნაგვის გატანასა და მის გადამუშავებაზე, ადგილობრივებმა ნაგვის გაყიდვა დაიწყეს. იტალიის სამხრეთის „მარგალიტად“ წოდებული ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ, გარიბალდის პროსპექტზე ნამდვილი სავაჭრო რიგები მოეწყო — რუმინელები, პოლონელები და იტალიელები მსურველებს ნაგვის ყუთებიდან ამორჩეულ ნივთებს იაფად სთავაზობენ. აქ შეგიძლიათ შეიძინოთ ნახმარი ფეხსაცმელი, ძველი დივიდი-დისკები, სამზარეულოს ელექტროხელსაწყოები, მაგიდები, სანთებელა და ბავშვის საწოვარაც კი. ნეაპოლში ნაგვის უტილიზაციის პრობლემა მას შემდეგ გაჩნდა, რაც რეგიონის ნაგავსაყრელთა უმრავლესობა გადაივსო და დაიხურა. ადგილობრივი ხელისუფლება ახალი ნაგავსაყრელების გახსნას აპირებს, რასაც მოსახლეობა ეწინააღმდეგება. მათი თქმით, კიდევ ერთი ნაგავსაყრელის გახსნა ზიანს მიაყენებს არა მარტო სოფლის მეურნეობას, არამედ ადამიანების ჯანმრთელობასაც. ანალიტიკოსები წლების განმავლობაში პრობლემის მოუგვარებლობას ნეაპოლიტანური მაფიის („კამორა“) საქმიანობას უკავშირებენ, რომელიც დიდ ფულს შოულობს ნარჩენების არალეგალური გადამუშავებით და დაინტერესებულია, ნაგვის საკითხი არ მოგვარდეს.




# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 1 | 5 | 3 | 7 | 4 | 6 | 2 |
| 7 | 6 | 5 | 4 | 1 | 2 | 3 | 9 | 8 |
| 4 | 3 | 2 | 9 | 8 | 6 | 1 | 5 | 7 |
| 6 | 2 | 9 | 3 | 7 | 8 | 5 | 4 | 1 |
| 1 | 5 | 8 | 6 | 4 | 9 | 2 | 7 | 3 |
| 3 | 7 | 4 | 2 | 5 | 1 | 9 | 8 | 6 |
| 2 | 8 | 7 | 1 | 9 | 5 | 6 | 3 | 4 |
| 5 | 4 | 6 | 8 | 2 | 3 | 7 | 1 | 9 |
| 9 | 1 | 3 | 7 | 6 | 4 | 8 | 2 | 5 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 1 | 7 | 9 | 6 | 5 | 8 | 2 | 4 |
| 9 | 5 | 8 | 3 | 2 | 4 | 1 | 7 | 6 |
| 6 | 4 | 2 | 1 | 8 | 7 | 5 | 9 | 3 |
| 4 | 6 | 5 | 2 | 1 | 8 | 9 | 3 | 7 |
| 8 | 9 | 3 | 7 | 5 | 6 | 4 | 1 | 2 |
| 2 | 7 | 1 | 4 | 9 | 3 | 6 | 8 | 5 |
| 7 | 8 | 9 | 6 | 4 | 2 | 3 | 5 | 1 |
| 1 | 3 | 6 | 5 | 7 | 9 | 2 | 4 | 8 |
| 5 | 2 | 4 | 8 | 3 | 1 | 7 | 6 | 9 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 5 | 3 | 7 | 8 | 2 | 1 | 9 | 6 |
| 1 | 2 | 7 | 6 | 5 | 9 | 4 | 3 | 8 |
| 9 | 8 | 6 | 4 | 3 | 1 | 2 | 7 | 5 |
| 8 | 1 | 9 | 3 | 7 | 6 | 5 | 4 | 2 |
| 3 | 4 | 5 | 9 | 2 | 8 | 7 | 6 | 1 |
| 7 | 6 | 2 | 5 | 1 | 4 | 9 | 8 | 3 |
| 5 | 9 | 4 | 2 | 6 | 3 | 8 | 1 | 7 |
| 6 | 7 | 1 | 8 | 4 | 5 | 3 | 2 | 9 |
| 2 | 3 | 8 | 1 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 9 | 6 | 5 | 3 | 4 | 2 | 1 |
| 6 | 5 | 4 | 2 | 1 | 9 | 3 | 8 | 7 |
| 3 | 2 | 1 | 4 | 8 | 7 | 9 | 5 | 6 |
| 5 | 6 | 7 | 8 | 2 | 4 | 1 | 9 | 3 |
| 2 | 4 | 8 | 3 | 9 | 1 | 7 | 6 | 5 |
| 1 | 9 | 3 | 5 | 7 | 6 | 8 | 4 | 2 |
| 4 | 3 | 2 | 1 | 6 | 8 | 5 | 7 | 9 |
| 9 | 1 | 6 | 7 | 4 | 5 | 2 | 3 | 8 |
| 7 | 8 | 5 | 9 | 3 | 2 | 6 | 1 | 4 |

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 1 | 6 | 9 | 7 | 8 | 5 | 4 | 2 |
| 2 | 5 | 9 | 4 | 3 | 1 | 8 | 6 | 7 |
| 4 | 8 | 7 | 5 | 6 | 2 | 3 | 1 | 9 |
| 9 | 6 | 4 | 8 | 5 | 3 | 7 | 2 | 1 |
| 8 | 7 | 2 | 1 | 4 | 9 | 6 | 5 | 3 |
| 1 | 3 | 5 | 7 | 2 | 6 | 9 | 8 | 4 |
| 7 | 2 | 3 | 6 | 1 | 5 | 4 | 9 | 8 |
| 5 | 9 | 1 | 3 | 8 | 4 | 2 | 7 | 6 |
| 6 | 4 | 8 | 2 | 9 | 7 | 1 | 3 | 5 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 4 | 8 | 7 | 5 | 6 | 3 | 2 |
| 3 | 2 | 8 | 1 | 6 | 9 | 4 | 5 | 7 |
| 7 | 6 | 5 | 2 | 4 | 3 | 1 | 9 | 8 |
| 6 | 8 | 7 | 5 | 3 | 4 | 2 | 1 | 9 |
| 2 | 3 | 1 | 6 | 9 | 8 | 5 | 7 | 4 |
| 5 | 4 | 9 | 7 | 2 | 1 | 3 | 8 | 6 |
| 4 | 1 | 6 | 3 | 8 | 7 | 9 | 2 | 5 |
| 9 | 7 | 3 | 4 | 5 | 2 | 8 | 6 | 1 |
| 8 | 5 | 2 | 9 | 1 | 6 | 7 | 4 | 3 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 1 | 2 | 9 | 8 | 6 | 5 | 7 | 4 |
| 9 | 5 | 7 | 4 | 3 | 2 | 1 | 8 | 6 |
| 8 | 6 | 4 | 5 | 1 | 7 | 9 | 3 | 2 |
| 2 | 7 | 5 | 3 | 6 | 4 | 8 | 9 | 1 |
| 1 | 9 | 6 | 2 | 7 | 8 | 4 | 5 | 3 |
| 4 | 3 | 8 | 1 | 9 | 5 | 2 | 6 | 7 |
| 6 | 2 | 3 | 8 | 5 | 1 | 7 | 4 | 9 |
| 7 | 8 | 1 | 6 | 4 | 9 | 3 | 2 | 5 |
| 5 | 4 | 9 | 7 | 2 | 3 | 6 | 1 | 8 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | 4 | 7 | 9 | 8 | 3 | 6 | 5 |
| 3 | 9 | 7 | 6 | 5 | 2 | 1 | 4 | 8 |
| 5 | 8 | 6 | 1 | 4 | 3 | 2 | 7 | 9 |
| 9 | 7 | 5 | 8 | 2 | 1 | 6 | 3 | 4 |
| 8 | 6 | 3 | 4 | 7 | 9 | 5 | 2 | 1 |
| 4 | 2 | 1 | 5 | 3 | 6 | 9 | 8 | 7 |
| 1 | 5 | 2 | 3 | 8 | 7 | 4 | 9 | 6 |
| 7 | 4 | 9 | 2 | 6 | 5 | 8 | 1 | 3 |
| 6 | 3 | 8 | 9 | 1 | 4 | 7 | 5 | 2 |

მე-10 გვერდი: 1. ბეში; 2. დრამერი; 3. რარიტეტი; 4. მაგი; 5. რიანა; 6. ბეატრიჩე; 7. ერითემა; 8. ტატამი; 9. იარანგი; 10. ბრეგვაძე; 11. ოდალისკი; 12. სბირი; 13. მარაო; 14. ვიქტორია; 15. ტოკოფეროლი; 16. ეიფორია; 17. შალე; 18. სამი; 19. ტევიე; 20. რტო; 21. ბუდე; 22. ეკლერი; 23. ბეტმენი; 24. გიიომ; 25. რეი; 26. არუე; 27. კამბალა; 28. სტაჟი; 29. კაპრალი; 30. ტარო; 31. ცამეტი; 32. მტილი; 33. ფიდე; 34. როი; 35. ზმნა; 36. ოლე; 37. უვიცი; 38. ფუროორი; 39. იკი; 40. ყველი; 41. ხეპრე; 42. ალოე; 43. უმა; 44. მესა; 45. აკაჟუ; 46. პიპია; 47. ხვალ; 48. რუანი; 49. ეოსი; 50. კვართი; 51. ალენ; 52. პო; 53. ფო; 54. ემი; 55. ეტი; 56. მოა; 57. მის; 58. ალია; 59. ლიე; 60. ტიფლიტი; 61. იო; 62. ედო; 63. „ონა“; 64. გეა; 65. ალიონი; 66. ლაილაი; 67. ალონსო.

მე-12 გვერდი: 1. ანკესი; 2. ნეგოციანტი; 3. ელეგია; 4. კლიფსი; 5. ლეგიონი; 6. ფონოგრამა; 7. ეგზემა; 8. ხსნილი; 9. მრისხანე; 10. აგონია; 11. ნერონი; 12. ივლისი; 13. ცხიმი; 14. ზაქი; 15. ისარა; 16. გონგი; 17. ნაი; 18. აირანი; 19. ნერვი; 20. ლარი; 21. ნიასა; 22. სმალტა; 23. ომი; 24. ასანთი; 25. ტუპოლევი; 26. დაკარი; 27. სპაიდერმენი; 28. მარაკანა; 29. ირი; 30. ლაგოდეხი; 31. „ოტო“; 32. აიკიდო; 33. კრინოლინი; 34. სტიპენდია; 35. „ტიიდა“; 36. ანოა; 37. პერიგეა; 38. ანგორა; 39. სე; 40. ტორსი; 41. კიდე; 42. ნაია; 43. პარკეტი; 44. უნამუნო; 45. ოდრა; 46. ნახირი; 47. ოკეი; 48. პან; 49. ენტერიტი; 50. იზმირი; 51. იდო; 52. ლაურა; 53. პაი; 54. უდაო; 55. ლენ; 56. ნიგერია; 57. ზმნა; 58. ეკო; 59. აკვანი; 60. ვეა; 61. აგა; 62. ტემზა; 63. სტარი; 64. კურო; 65. ვაცი; 66. იანკოვსკი; 67. ყურძენი; 68. ტრიო; 69. აგრა; 70. ძიძია; 71. ტრირი; 72. ტაკვი; 73. უშუ; 74. ძი; 75. ირიგაცია; 76. ნუში; 77. ია; 78. გრო; 79. ლიტი; 80. მი; 81. გეა; 82. ერი; 83. გიჟუა; 84. მიალგია; 85. იაბო.

1. იგივეა, რაც ქათინაური
2. ფრანგული არაყი
3. მალარიის გადამტანი კოღო
4. ერთ-ერთი მშობელი
5. ლეგენდარული ჩეხი ჩოგბურთელი
6. სასვენი ნიშანი
7. პატივისცემის გადაჭარბებული გმოხატვა
8. ტაში რისამე მოწონების ნიშნად
9. იუპიტერის მეუღლე
10. ისტორიის მუზა
11. პენიცილინის აღმომჩენი
12. უძველესი ხალხი იტალიაში
13. ესპანეთის საკურორტო კუნძული
14. საქონლის შესაფუთავი ჭურჭელი
15. ქალაქი ესპანეთში
16. სოფელი ონის რაიონში
17. თაიგულის შეკვრის ხელოვნება იაპონიაში
18. ლამპის ან ჭაღის საფარი
19. ყბედობისთვის დასჯილი ნიმფა
20. დიეზის გასაუქმებელი ნიშანი
21. ვეზუვით განადგურებ. ერთ-ერთი ქალაქი
22. ჭადრაკის ფიგურა
23. საოჯახო ხელსაწყო ნივრის დასანაყად
24. სურამის ერთ-ერთი უბანი
25. ხორცი ბავშვის ენაზე
26. ურჩხული შოტლანდიის ტბაში
27. რაგბის ბურთის ფორმა
28. მარმაშიანი საყელო
29. წონის ერთეული ძვ.რომში
30. ნიმფა კალიფსოს კუნძული
31. ალვისხის მეორე სახელი
32. ჯანი როდარის ზღაპრის პერსონაჟი
33. ლეგენ. ქართველი ფეხბურთელი
34. საგანთა ჩამონთვალი
35. ფრთოსანი მწერის განვითარე-ბის ბოლო სტადია
36. სამხრეთ ამერიკული ნესვი
37. ელექტრ. განმუხტვა ატმოსფეროში
38. ფინური ეპიკური სიმღერა
39. ბიბლიური იაკობის ძმა
40. ღვინის ობი
41. გარეული ვირი
42. გესტაპოს „შეფი“
43. რამდენიმე სართულად გამართული თაროები
44. სვეტებიანი გალერეა
45. იტალ. მწვრთნელი ... ზაკზოტი
46. ქრისტეფორე კოლუმბის ერთ-ერთი კარაველა
47. ცუდი, საძრახისი რამ
48. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
49. პირისახის ძვალი
50. ქართული ანბანის V ასო
51. პუერტორიკოელი მომღერალი რიკი ...
52. მწერალი ... მორჩილაძე
53. მდინარე რუსეთში
54. მუსიკ. გამის I ნოტი
55. ჩინურ-იაპონური შაში
56. მომკილი თავთავის კონა
57. ახლომხედველობა
58. პოლონელი პოეტი ... მიცკევიჩი
59. პოპულარული ამერიკელი ტელეწამყვანი ... უინფრი
60. ტელეშოუ „...? სად? როდის?“
61. ბრაზიანი, ანჩხლი
62. ღმერთ იაჰვეს აღმნიშვნელი სიტყვა
63. მერვე მუსიკალური ინტერვალი
64. ტროპ. ძვირფასმერქნიანი ხე



# რესტორანში ფოტოს სანაცვლოდ უმასპინძლდებიან



ნისლიან ალბიონზე, ლონდონში ახალგახსნილ რესტორანში კლიენტებს Instagram-ში კერძის გამოქვეყნებული ფოტოს სანაცვლოდ უმასპინძლდებიან. დაწესებულება, სახელწოდებით Picture House, მსურველებს სთავაზობს ქათმისა და თევზისგან დამზადებულ საჭმელს სრულიად უფასოდ, თუკი კლიენტი ამ კერძებს ფოტოს გადაუღებს და სოციალურ ქსელში ატვირთავს. რესტორანი საერთაშორისო ბრენდმა Birds Eye გახსნა, რომელიც გაყინულ პროდუქტს აწარმოებს. ამგვარად, კომპანია მეტად ორიგინალური გზით ცდილობს პროდუქციის რეკლამირებას. გარდა ფოტოებზე გასაცვლელი კერძებისა, რესტორანი მასტერკლასსაც ჩაატარებს, რომელსაც ბრიტანეთში პოპულარული საკვების ფოტოგრაფი მარია მარტი გაუძღვება. დაწესებულების მფლობელები ვარაუდობენ, რომ მომავალ თვეში ანალოგიურ რესტორანს მანჩესტერსა და ლიდსშიც გახსნიან.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

# საქორწინო ბეჭედი გაუფრინდა



პარკეტის ლონდონელმა ოსტატმა, ლეფკოს ჰაჯიმ მეტად უცნაურად დაკარგა 6 ათას გირვანქა სტერლინგად შეფასებული საქორწინო ბეჭედი, რომელიც საცოლესთვის უნდა ეჩუქებინა. როგორც გაირკვა, ჰაჯიმ ფლორისტს სთხოვა, ბეჭედი ჰელიუმით სავსე ვერცხლისფერ ბუშტში მოეთავსებინა, პაემანზე მისულს კი შეყვარებულისთვის უნდა მიერთმია, რომელიც ამ ბუშტს გახეთქავდა და იქ საჩუქარს აღმოაჩენდა. თუმცა, მონაბერმა ქარმა სასიძოს მთელი გეგმები აურია და ბუშტი, ბეჭედთან ერთად, ჰაჯის ხელიდან გაუფრინდა. ის ორი საათი მანქანით მისდევდა ჰაერში აჭრილ საქორწინო საჩუქარს, მაგრამ ბოლოს დანებდა. როგორც ჰაჯი ამბობს, ამ შემთხვევის გამო შეყვარებულიც წაეჩხუბა და მანამდე არ შეურიგდება, ვიდრე ახალ ბეჭედს არ უყიდის.

# მეზობლები კარაოკეს გამო დახოცა



ტაილანდელმა რვა მეზობელი გამოასალმა სიცოცხლეს იმის გამო, რომ ველარ აიტანა კარაოკეზე მათი საშინელი სიმღერა. ინციდენტი ქვეყნის სამხრეთით, ერთ-ერთ სოფელში მოხდა. 52 წლის ვინუს ჩუმკამნერდმა პოლიციას განუცხადა, რომ არაერთხელ სთხოვა მეზობლებს, შეეწყვიტათ ხმაური და გააფრთხილა, თუ ასეთ საშინელ სიმღერას არ შეწყვეტდნენ, დახოცავდა. არ გვესროლოო, არავის უთქვამს, რადგან ყველა უზომოდ მთვრალი იყო, — აღნიშნა მკვლელმა. ვინუსი ისეთი გაბრაზებული მიუვარდა მეზობლებს, რომ იქ სტუმრად მყოფი საკუთარი სიძეც ვერ შენიშნა და ისიც მიაცხრილა. ტაილანდის კანონების მიხედვით, რვა ადამიანის მკვლელობისთვის დამნაშავეს სიკვდილით დასჯა ელის.

# ძაღლებისთვის პლაჟი გახსნეს



იტალიაში, პოპულარულ საკურორტო ქალაქ რიმინიში უნიკალური პლაჟი გაიხსნა, სადაც მხოლოდ ოთხფეხა მეგობართან ერთად მისვლაა დაშვებული. ამ შინაური ცხოველებისთვის პლაჟზე ათასგვარი გასართობი და საკვებია, მათი პატრონებისთვის კი ბარია გამაგრილებელი სასმელებით. პლაჟზე Rimini Dog – No Problem ძაღლებისთვის მომზადებულია მზისგან დამცავი ქოლგები, ტუალეტის კაბინები, ჯამები საკვებითა და სასმელით, შეზლონგები... არის დასვენების აქტიური ზონაც, სადაც ცხოველებს საკუთარ პატრონებთან ერთად გართობა შეუძლიათ, ასევე საშხაპე კაბინებიც, ადრიატიკის ზღვაში ჭყუმპალაობის შემდეგ წყალი რომ გადაივლონ. თუ ძაღლის პატრონს სადმე წასვლა დასჭირდება, მის ოთხფეხა მეგობარს თანამშრომლები მიხედავენ. პლაჟზე ვეტერინარიც მორიგეობს. ამ უჩვეულო დასვენების ავტორები, ძმები — მარკო და ლუკა აგოსტინები არიან, რომლებსაც არ მოსწონდათ, ძაღლების მფლობელები ზღვაზე საყვარელი ოთხფეხა მეგობრების გარეშე რომ ისვენებდნენ.

# სუდოკუმანია

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | | 9 | | | |
| | | | | 6 | | | | 9 |
| 7 | | 6 | | 3 | 2 | | | 8 |
| | 5 | 4 | | | | 2 | 7 | 1 |
| | | | | | | | | |
| 9 | 1 | 3 | | | | 8 | 5 | |
| 3 | | | 8 | 2 | | 5 | | 7 |
| 2 | | | | 4 | | | | |
| | | | 6 | | 7 | | | |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | | | | | | |
| | 9 | | 7 | 6 | | | | 1 |
| | | | | 3 | | 2 | 9 | |
| 6 | | | | 7 | | 1 | 5 | |
| | | 1 | 6 | 9 | 4 | 8 | | |
| | 8 | 7 | | 1 | | | | 3 |
| | 7 | 4 | | 5 | | | | |
| 1 | | | | 8 | 7 | | 6 | |
| | | | | | | | 8 | |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1 | | | 9 | 7 |
| | | | | | 6 | 4 | | |
| 1 | | | | 5 | | | 6 | |
| 9 | 6 | | 5 | | | 8 | | |
| | | | | 2 | | | | |
| | | 4 | | | 1 | | 7 | 9 |
| | 5 | | | 4 | | | | 3 |
| | | 1 | 9 | | | | | |
| 3 | 2 | | | 6 | | | | |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | 6 | | 7 | 8 | 5 | | |
| | | | 2 | | | | 8 | |
| | 3 | | | 1 | | | | |
| 4 | | 3 | 1 | | | 9 | | |
| | | 8 | | | | 2 | | |
| | | 9 | | | 5 | 4 | | 8 |
| | | | | 4 | | | 6 | |
| | 7 | | | | 9 | | | |
| | | 1 | 6 | 2 | | 8 | | 5 |

## D-ვიტამინის დეფიციტი საზიფათოა ჯანმრთელობისთვის




მედიკოსები გვაფრთხილებენ, რომ D-ვიტამინის დეფიციტმა შესაძლოა ოსტეოპოროზი გამოიწვიოს, ფეხმძიმეებში კი პრეეკლამპსიის რისკი გაზარდოს. D ვიტამინი იცავს ორგანიზმს სიმსივნისა და მეორე ტიპის დიაბეტისგან, ასევე, როგორც მანჩესტერის უნივერსიტეტის სწავლულების ბოლო კვლევებმა დაადასტურა, შეუძლია რევმატული ტკივილიც დაამარცხოს. ბევრი პროდუქტი ვერ დაიკვეხნის D-ვიტამინის შემცველობით, თუმცა თევზის ქონი, სოკო, კვერცხის გული და ღვიძლი, ამ მხრივ გამონაკლისია, კარგი იქნება, თუ ადამიანი მზის აბაზანებსაც მიიღებს — ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით, ორგანიზმში გამომუშავდება D-ვიტამინი, რომელიც გარდაიქმნება 25-ჰიდროქსივიტამინ-D-დ. მანჩესტერელმა სპეციალისტებმა ვიტამინის დეფიციტი 2300 ევროპელზე გამოიკვლიეს და აღმოჩნდა, რომ მათ ორჯერ მეტად აწუხებდათ ტკივილი იმ ადამიანებთან შედარებით, ვისაც d-ვიტამინის მაღალი კონცენტრაცია ჰქონდა. შემდგომმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ ყოველ მე-15 მამაკაცს, რომელსაც კვლევის დასაწყისში სიმპტომები არ აღენიშნებოდა, ბოლოს ტკივილი დაეწყო. განსაკუთრებით, ეს ძლიერი სქესის მსუქან წარმომადგენლებს შეეხო, რომლებიც ფიზიკურად ნაკლებად აქტიურები და დეპრესიულები არიან. მოკლედ, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ჩონჩხისა და კუნთების ტკივილი d-ვიტამინის დეფიციტის სიმპტომებია, რაც შესაძლოა, ოსტეომალიაციას (ძვლების დარბილებას) უკავშირდებოდეს.

## ცხიმგროვა —კიბოს წამალი



თავის ტვინის კიბო შეიძლება განიკურნოს, წამლის დასამზადებლად კი პაციენტის ცხიმოვან ქსოვილს გამოიყენებენ, საიდანაც მეზენხიმალურ ღეროვან უჯრედებს ამოიღებენ, რომელთაც ტვინში შეიყვანენ. ჯერჯერობით, ეს ტექნოლოგია მხოლოდ ლაბორატორიულ მღრღნელებზე გამოსცადეს და ცხოველებს სიცოცხლე გაუხანგრძლივეს. ადამიანებში მსგავსი თერაპიის გამოყენება სიმსივნის (გლიობლასტომის) ამოკვეთის შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც ტვინის პერიფერიებში დარჩენილ კიბოს უჯრედებს გაანადგურებს. მეზენხიმალურ ღეროვან უჯრედებს საოცარი თვისება აქვს: პოულობენ სიმსივნურ და დაზიანებულ უჯრედებს. სპეციალისტებმა შეცვალეს ეს უჯრედები და აიძულეს, გამოყონ ცილა BMP4, რომელიც ახშობს სიმსივნურ პროცესს. როგორც ექსპერიმენტმა აჩვენა, უჯრედების ინექციებმა შეაფერხა სიმსივნის ზრდა და დაავადებაც ნაკლებად აგრესიული გახდა. გლიობლასტომას, ჩვეულებრივ, ქირურგიული ჩარევით, ქიმიო და სხივური თერაპიით მკურნალობენ, მაგრამ ყველა საშუალების გამოყენების შემთხვევაშიც კი, პაციენტი 18 თვეზე მეტს იშვიათად ცოცხლობს.

## მზის შუქის ნაკლებობა სიკვდილს იწვევს



კალიფორნიელმა სწავლულებმა კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ ბუნებრივი სინათლის უკმარისობა, შესაძლოა, სასიკვდილო აღმოჩნდეს. მკვლევარებმა 30 ათასზე მეტი მოხალისე გამოკითხეს, ავსებდნენ ანკეტას, სადაც მიუთითებდნენ, რამდენ დროს ატარებდნენ მზის შუქზე. კვლევა საკმაოდ დიდხანს, 20 წელი გრძელდებოდა და ამ პერიოდში გარდაცვლილთა რაოდენობა 2545 იყო. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მზის შუქის დეფიციტი ზრდიდა ნაადრევი სიკვდილის რისკს. ზოგიერთ შემთხვევაში აშკარად ჩანდა ურთიერთკავშირი არასაკმარის ბუნებრივ განათებასა და ადამიანის ჯანმრთელობას შორის. მზის შუქი ორგანიზმში ააქტიურებს -ვიტამინს, რომელიც აუცილებელია ბიორიტმის შესანარჩუნებლად.

## დაბალი ადამიანები დღეგრძელები არიან



ჰავაის უნივერსიტეტის სწავლულებმა გამოკვლევის შედეგად გაარკვიეს, რომ დაბალი და საშუალო სიმაღლის ადამიანები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე მაღალი ინდივიდები. მეცნიერებმა მოხალისეები ორ ჯგუფად დაყვეს — პირველში აღმოჩნდნენ 158 სანტიმეტრზე დაბალი ადამიანები, მეორეში — 163 სანტიმეტრზე მაღლები. სტატისტიკამ აჩვენა, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა პირველი ჯგუფის მოხალისეებში უფრო მეტი იყო. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ საიდუმლო შესაძლოა გენი FOX3 იყოს — ეს სტრუქტურა პასუხისმგებელია დღეგრძელობაზე, არეგულირებს სისხლში ინსულინს, აქვეითებს სიმსივნური დაავადებებისადმი მიდრეკილებას. საინტერესოა, რომ გამოვლენილი კანონზომიერება ადვილი შესამჩნევია არა მხოლოდ ადამიანებში, არამედ ცხოველებსა და მწერებშიც. უახლოეს მომავალში სწავლულები მსგავსი კვლევის ჩატარებას სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს შორის აპირებენ — ეს ზუსტი ინფორმაციის მიღების საშუალებას მისცემს.

ტელეკომპანია ,,თრიალეთი”
რეკლამა ,,თრიალეთზე”
დაგვიკავშირდით
032 239 38 23
599 25 13 31
www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge
თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1



1. „მედიცინის მამა“
2. შემოქმედებითი ინტელიგენცია, რომელსაც არა აქვს მუდმივი შემოსავალი და უთავბოლო ცხოვრებას ეწევა
3. ბეჰემოთის მეორე სახელწოდება
4. პათოსით აღსავსე ტონი
5. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი
6. ქართველი რომანტიკოსი პოეტი
7. ასი ხარის მსხვერპლად შეწირვა ძვ. საბერძნეთში
8. მოტორიანი ველოსიპედი
9. ყველაფრისადმი გულგრილობა, უინტერესობა
10. პირენეის მთების უმაღლესი მწვერვალი
11. ევროპელი ებრაელების ენა
12. კუდიანების მეთაური ქართულ მითოლოგიაში
13. ტროას მეორე სახელწოდება
14. გეოგრაფიული რუკების კრებული
15. შენობის შიგნითა ეზო
16. ცხენოსნის წკეპლა
17. ლეგენდარ. იტალიელი მეკარე ... ძოფი
18. აქილევსის დედა
19. წმინდა, ხალასი
19. ჯოხზე დამაგრებული ნაყინი
20. სელის ქსოვილი
21. დაბალი დიპლომატიური რანგი
22. საფეხ. კლუბი „... ხუნიორსი“
23. სპილოს ნაშიერი
24. გერმანელი ფიზიკოსი
25. წყვილთა საბალო ცეკვა
26. ქალაქი სიღნაღის რაიონში
27. შოტლანდიის ტბაში მცხოვრები ურჩხული
28. მტაცებელი ცხოველი
29. პირი, რომელიც საკუთარ სახელს მალავს
30. დიდი ხმაური, ყაყანი
31. ძვ. სლავური ენის ერთ-ერთი ანბანი
32. ფრანგი კინომსახიობი
33. დარტანიანის მსახური
34. თმის საშრობი მოწყობილობა
35. წელიწადი, რომელშიც 366 დღე-ღამეა
36. სპილბერგის უცხოპლანეტელი
37. სამკურნალო მცენარე
38. კრემის ასათქვეფი მოწყობილობა
39. ე. წ. თურქული მაწონი
40. საშობაო სიმღერა
41. სითბოს რაოდენობის ერთეული
42. იაპონური თეატრის სახეობა
43. $H_2O$
44. თევზის ძვალი
45. პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელი
46. „ჭირი ..., ლხინი აქა“
47. სამსონის სატრფო
48. „გზა“ – ლათინურად
49. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში
50. წამლების გასაყიდი დაწესებულება
51. მილედის ყოფილი ქმარი „სამ მუშკეტერში“
52. მსახიობი ... ბროუდი
53. მოსაცდელი დარბაზი თეატრში
54. მოგრძო და წვრილძირიანი გოდორი
55. ტაძარი, სადაც აღმაშენებელი განისვენებს
56. შეფასება ძიუდოში
57. ავქსენტი ცაგარელის კომედია
58. ჩარლი ჩაპლინის ბოლო მეუღლე
59. მოსახლეობის გადაადგილება ქვეყნებს შორის
60. იგივეა, რაც ნახნავი
61. წყვილი ერთიანი კამათელზე
62. საეკლესიო ზეთი
63. თოვლის კაცი
64. უდაბნო პერუში
65. მსახიობი ... დეიმონი
66. „ნაუტილუსის“ კაპიტანი
67. რუსი კომპოზიტორი
68. „დე-ფაქტო“ და „დე-...“
69. მწერალი ... მორჩილაძე
70. ეკლესიიდან განდევნა, შეჩვენება
71. შებოლილი ხორცი
72. წვეტიანი ყინული ხეებზე
73. შხამიანი გომბეშო
74. ბეჭედში ჩასმული ჩუქურთმიანი ქვა
75. პატარა სარწყავი არხი
76. აშშ-ის ქალაქი ...-ფრანცისკო
77. ნორვეგიელი კომპოზიტორი
78. ქალაქი პერუში, მდინარე ამაზონზე
79. სახალხო კრება ძვ. საბერძნეთში
80. წარსულში ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურთელი ... კოშტა
81. თმის მცენარეული საღებავი
82. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი



# ძუნწი მეუღლე ჯარიმას ვარდებით გადაიხდის

ირანელმა ქალმა ძუნწ ქმარს სასამართლოში უჩივლა და ახლა მისგან 124 ათას წითელ ვარდს მიიღებს. ეს იმ საშინელი 10 წლის კომპენსაციაა, რომელიც ჰენგამემ მეუღლესთან გაატარა და უზომო სიძუნწეს ითმენდა. როცა მასთან ერთად კაფეში შევდიოდი, ჩემთვის ყავის ყიდვაზეც კი უარს ამბობდა, — ამბობს გამწარებული ქალი. ბოლოს და ბოლოს, როცა მოთმინების ფიალა აევსო, ჰენგამემ გადაწყვიტა, ქმრისთვის სასამართლოში ეჩივლა და მისგან აღებული მზითვის ეკვივალენტი მოეთხოვა. ირანული კანონების მიხედვით, ცოლს ნებისმიერ დროს შეუძლია ქმარს მზითვის დაბრუნება მოსთხოვოს. 124 ათასი ვარდის საფასური, რომელიც შაჰინმა ცოლს უნდა გაუგზავნოს, 200 ათას დოლარს აღწევს. როგორც სასამართლოში განაცხადა, ამხელა თანხის ერთბაშად გადახდა არ შეუძლია და თანახმაა, ცოლს ყოველდღე ხუთი ვარდი მიართვას. სასამართლომ კი, თავის მხრივ, შაჰინის ბინის კონფისკაცია მოახდინა, რომელსაც პატრონს მხოლოდ მაშინ დაუბრუნებენ, როცა ცოლს წითელი ვარდების ვალს ბოლომდე გაუსტუმრებს.


# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.